ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 ივლისი 2004 №173 (2194) ფასი 50 თეთრი


# ნავიტჯორჯიევს ქართველებზე თავისიანების უფრო ეშინიათ







## დღეს ძალიან დაცხება

### დინამო — ბატე
### შამქირი — თბილისი

თბილისში და შამქირში სიცხე იქნება, მაგრამ ჩვენს პროგნოზს მხოლოდ მეტეოროლოგიურად ნუ შეხედავთ – „დინამოს" და „თბილისს" ცხელი მატჩები ელით – მიუხედავად მეტოქეებთან პირველ შეხვედრაში გამარჯვებისა, უეფას თასის მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე მათი გასვლის საკითხი მაინც ბეწვზე ჰკიდია.

დინამოელთა მწვრთნელი გია გეგუჩაძე ამბობს, რომ ფრეზე არ ითამაშებს და შეუტევს, ხოლო ბელარუსული ბატეს დამრიგებელი იური პუნტუსი გვპირდება, რომ მისი გუნდი ისე აღარ ითამაშებს „დინამოსთან", როგორც ეს ორი კვირის წინ მარცხიან მატჩში გააკეთა – გახსნილი თამაში გვაწყობსო, თქვა პუნტუსმა.

ამასობაში კი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი თბილისში ჩამოვიდა და დღეს ნაკრების დინამოელი კანდიდატების თამაშსაც დაესწრება. აი, ასეთია ვითარება ნავიტჯორჯიევს.



## ბრაიკოვიჩს კონტრაქტი, მარკოიშვილს ოლიმპია

საქართველოს ჰყავს კალათბურთის ნაკრები და გაჩნდა იმედიც, რომ ის 2007 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება. ნაკრები იტალიაში, სან ჯორჯოს ოთხთა ტურნირზე ვნახეთ, ხოლო იმედი იქ ორი გამარჯვების შემდეგ გაუჩნდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას. დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდმა იტალიაში რუსეთსა და შვედეთს სძლია და ფედერაციას ტექნიკური საკითხების მოგვარებისკენ უბიძგა. მიხეილ სააკაშვილი შემონდ უილიამსს უბოძებს საქართველოს პასპორტს, ხოლო ფედერაციამ დრაჟენ ბრაიკოვიჩს უბოძა ახალი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც ხორვატი მწვრთნელი არა 2005, არამედ 2007 წლამდე გაწვრთნის ჩვენს ნაკრებს. კონტრაქტს ბრაიკოვიჩის ხელმოწერალა აკლია. ხორვატი ამჟამად სამშობლოშია.

ერთი სიახლეც: ჩვენი ნაკრების მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილი კვლავ გაანათხოვრა მისმა კლუბმა, ტრევიზოს „ბენეტონმა", ამჯერად სლოვენიის ჩემპიონ „ოლიმპიაში", რომლის კაპიტანიც ვლადიმერ ბოისა გახლავთ და „მანოს" სწორედ ვოვამ შეაწია სიტყვა.



**უეფას თასი 2004-2005**

UEFA CUP | საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

თბილისი. 29 ივლისი. 20 საათი. ეროვნული

**დინამო - ბატე**

# შეტევა! შეტევა!

## ფრეზე არ ვითამაშებთ

*ვიტჯორჯიული კომმარის შემდეგ ქართული საკლუბო ფეხბურთის სინდის-ნამუსი „დინამოზე" და „თბილისზე" ჰკიდია — ამ გუნდებმა პირველი მატჩები მოიგეს და შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსიც აქვთ. სანამ „თბილისი" შამქირში სტუმრობს, გუშინ „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა, სადაც ბელარუსი ჟურნალისტებიც მოვიდნენ და გეგუჩაძემ მათ კითხვებსაც უპასუხა.*



— ბატესთან თბილისურ მატჩამდე საკონტროლო თამაში გქონდათ „ლოკომოტივთან" და ირაკლი ზოიძეს არ უთამაშია — მას ბატესთანაც არ დააყენებთ?

— ზოიძეს მიკროტრავმა ჰქონდა და ამიტომ არ ითამაშა. მისი ბორისოვში თამაშით კი კმაყოფილი ვარ, თუ არ ჩავთვლით გაშვებულ კურიოზულ გოლს.

— ბატესთან მატჩისთვის ყველა დინამოელი ჯანმრთელადაა?

— ლადო ახალაია ტრავმირებულია, ვერ ითამაშებს ლევან სილაგაძეც — მან გუშინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა. მიკროტრავმა აქვს რომეროს და მისი თამაშიც სათუოა.

— პირველი მატჩი მოიგეთ და ფეხბურთელები ცოტა ზერელედ ხომ არ ეკიდებიან საპასუხო მატჩს?

— არა მგონია, ასე იყოს — კარგად ვხედავ, თუ როგორ ემზადებიან ამ მატჩისთვის ჩვენი ფეხბურთელები. თუმც ასეთ შემთხვევაში ამსუბუქება დიდ პროფესიონალებსაც კი სჩვევიათ.

— 0:0 — ასეთ ანგარიშზე ითამაშებთ?

— ასეთ ანგარიშს ვერავინ შეუკვეთავს. ტაქტიკაზე ახლა არ ვისაუბრებ, თუმც მე შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ.

— და მაინც, პირველი მოგებული მატჩი დინამოელებზე უარყოფითად არ იმოქმედებს?

— პირველი მატჩი რომ მოვიგეთ, ამას ორი მხარე აქვს — „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საკუთარი ძალა ირწმუნეს, მაგრამ ზედმეტი თავდაჯერება მათში არ უნდა იყოს, რათა არ დავისაჯოთ.

— „დინამოდან" რამდენიმე ფეხბურთელი წასვლას აპირებს და ისინი თამაშზე მეტად სამომავლო ტრანსფერებზე ხომ არ ფიქრობენ?

— ჯერ არც ერთი ტრანსფერი არ განხორციელებულა. თუ „დინამოდან" ფეხბურთელი ძლიერ ჩემპიონატში და ძლიერ გუნდში გადავა, ეს კლუბის იმიჯს ასწევს, მაგრამ ეს ფეხბურთელები წასვლისთვის სათანადოდ უნდა იყვნენ მზად — უნდა ითამაშონ და საკუთარი ძალა ჯერ „დინამოში" დაამტკიცონ.

— მატჩი რომ ფრედ დამთავრდეს, კმაყოფილი დარჩებით?

— ასეთ შემთხვევაში კმაყოფილი დავრჩებით იმით, რომ შემდეგ ეტაპზე გავალთ, მაგრამ არ გვაქვს ისეთი განწყობა, რომ მატჩი ფრედ ვითამაშოთ.

— „ვიტ ჯორჯიას" „ვისლასთან" მატჩს დინამოელებიც ესწრებოდნენ...

— ჩვენ ქართულ ფეხბურთს, ... ერთო საქმეს ვემსახურებით და მომხდარზე, როგორც რომ ვთქვათ, გული ძალიან დამწყდა.

— ეროვნულ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯია" თქვენი პრინციპული მეტოქეა — მისი ასეთი მარცხი არ გაგიხარდათ?

— „ვიტ ჯორჯიას" პრინციპულად მხოლოდ სპორტულ ასპექტში ვეპაექრებით. მაგრამ აქ საქმე ქართული ფეხბურთის პრესტიჟს ეხება და ქართული გუნდების ნებისმიერი მარცხი ჩვენთვის მტკივნეულია.

— ბატესთან პირველ მატჩამდე თქვით, ბორისოველებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთო — მატჩის შემდეგ ბატეზე აზრი არ შეგიცვლიათ?

— არა, ბატე რომ საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდეს, ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იქნებოდა. ჩვენი მეტოქე ძალიან კარგად დაბალანსებული გუნდია, კარგი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც დაუღლელად მოძრაობენ. ბატე რომ პირველ მატჩში ჩვენთან დამარცხდა, ეს მისი ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოუცდელობის ბრალიც იყო.

**დავით თავართქილაძე**

---

**პოლონური** „ვისლასავით" თავდაჯერებულები და წელში გამართულები გვესტუმრნენ ბელარუსებიო, რომ ვთქვათ, სწორი არ იქნება. არც იმის თქმა ეგების, ბატე „დინამოსთან" საპასუხო მატჩის წინ განწირულიაო, თუმც ისიცაა, რომ ბორისოველებს მაინცდამაინც ოპტიმისტური განწყობა არ ეტყობათ. სტუმარი გუნდის ტრაფარეტული ფრაზები, მოსაგებად ჩამოვედითო, ბელარუსებისგანაც ხშირად ისმოდა, მაგრამ ტონი აშკარად რიხმოკლებული იყო.

მწვრთნელმა იური პუნტუსმა 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა, მათ შორის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ოლეგ შკაბარა, რომელსაც ბორისოვში არ უთამაშია და, როგორც თქვეს, ბატესთვის მისი არყოფნა დიდი დანაკლისი ყოფილა.

გუშინდელი ვარჯიში კი ბატეს, „ვისლას" მსგავსად, 45-წუთიანი გამოუვიდა და შვიდ საათზე დაიწყო. ბორისოველებს ქართული სიცხის კვალიც დაეტყოთ, 40 გრადუსი მათთვის უჩვეულოა და ფეხბურთელებმა ერთი-ორჯერ დაიწუწუნეს კიდეც, ასეთ სიცხეში თამაში გაგვიჭირდებაო. თუმც პუნტუსმა შეგირდებს იქვე უპასუხა, რვა საათის მერე აგრილდებაო.

ბატელებს გუშინ ბევრი არ ურბენიათ და არც ნაირ-ნაირი ტაქტიკური ვარიანტების დამუშავებით მოუკლავთ თავი. ფეხბურთელებმა ვარჯიშის უმეტესი დრო კუნთების მოდუნებას დაუთმეს და კარისკენაც ერთ-ორჯერ თუ დაარტყეს. ურტყამდენ იური ჟევნოვისკენ, იმ მეკარისკენ, ვინც ორი კვირის წინ დინამოელ ირაკლი ზოიძეს კურიოზული გოლი გაუტანა, თავის კარიდან დაარტყა და...

— გადაჭარბებულ ნათქვამად ნუ ჩამითვლით, მაგრამ როცა „დინამოს" გავუტანე, არ გამკვირვებია, გოლი ჩვეულებრივ გოლად აღვიქვი. საქმე ისაა, რომ შარშან ზაფხულშიც მაქვს მსგავსი გოლი გატანილი. თურქეთში შეკრებაზე ვიყავით და იქ, ერთ-ერთ უკრაინულ გუნდთან გავიტანე. მართალია, მაშინ ქარი უბერავდა, მაგრამ მაინც... ასე რომ, ის გოლი ჩემთვის პირველი არ ყოფილა და ვიმედოვნებ, არც ბოლოა — გვითხრა იური ჟევნოვმა, რომელსაც ვარჯიშის მერე გამოველაპარაკეთ.

— ხვალაც აპირებთ კარიდან კარში გატანას?

— ვეჭვობ. ასეთი გოლები ხომ ათასში ერთხელ გადის. მე, უბრალოდ, ორჯერ გამიმართლა. ისე, ხვალაც თუ გამიმართლებს, კარგი იქნება.

— ორი კვირის წინანდელ მატჩზე რას იტყვით? 2:3 ლოგიკური ანგარიში იყო?

— თამაშიდან გამომდინარე შედეგი ლოგიკურია. „დინამომ" ბორისოვში აშკარად დაგვჯაბნა. ის მატჩი, შეცდომების მატჩი იყო. ჩვენ ერთი კურიოზული გოლი გავიტანეთ და ერთიც პენალტით, „დინამომ" კი ჩვენი ბავშვური შეცდომებით ისარგებლა.

— ხვალაც, მინიმუმ, ორი გოლის გატანა რომ გჭირდებათ...

—რა ვქნათ, სხვა გზა არაა, გატანას უნდა ვეცადოთ. ეს უძნელესი საქმე იქნება, მაგრამ თბილისში ხომ სწორედ ამისთვის ჩამოვედით. ღმერთმა თუ გადმოგვხედა...



კარიდან კარში გამტანი იური ჟევნოვი

# ბატეს რიხი შინ დარჩა

## იური პუნტუსი: უქომაგეთ დინამოს!



*„დინამოს" დღევანდელი მეტოქე, ბორისოვის ბატე თბილისში გუშინ, ნაშუადღევს ჩარტერული რეისით, ათი ჟურნალისტისა და რამდენიმე ქომაგის თანხლებით ჩამოვიდა და საბურთალოზე, სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდა. ისე, როგორია? ბატე „ბატესტაში"...*

კარგი მოსაუბრე გამოდგა ბატეს მეკარე და კარგადაც ურტყამს, რასაც, იმედია, დღეს ვერ შესძლებს.

კარგი მოლაპარაკეა ბატეს მწვრთნელი *იური პუნტუსიც*, რომელსაც გუშინვე, ვარჯიშის დაწყებამდე პრესკონფერენციაზე შევხვდით. ბორისოველთა თავკაცზე ვერ იტყოდი, უხასიათოდ იყოო...

— პირველ ყოვლისა, მსურს საქართველოს მივესალმო და ქართველებისადმი ჩემი პატივისცემა გამოვხატო. სასიამოვნოა, რომ „დინამო" — ბატეს მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც პირველი შეხვედრის დროსაც იგრძნობოდა.

— ბატე დინამოსთან საპასუხო მატჩამდე საგანგებო გრაფიკით არ ემზადებოდა. ჩვენ პირველ შეხვედრამდე ათი დღე გვქონდა. ჩემპიონატის ორი მატჩი „დინამოსთან" თამაშისთვის უკეთ მოსამზადებლად გადავდეთ, მაგრამ რაც გამოგვივიდა, ანგარიშიდან ჩანს. თბილისში წამოსვლამდე კი ჩვეულებრივ ვვარჯიშობდით. მაგრამ არ იფიქროთ, ისევე ვითამაშებთ, როგორც ორი კვირის წინ.

— ხვალინდელ შეხვედრაში ჩვენთვის მთავარია, გოლი არ გავუშვათ. გატანით კი, ვიმედოვნებ, გავიტანთ, თანაც იმდენს, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად გვეყოს. უკანმოუხედავად არ შევუტევთ. აი, სულ ესაა, რაც შემიძლია ჩვენს თამაშზე გითხრათ. დანარჩენი მატჩისას გამოჩნდება. ერთი ვიცი, რომ უკომპრომისო და ძალიან საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს.

— „დინამომ" ბორისოვში მართლაც სიურპრიზი შემომთავაზა. ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო, „დინამომ" რომ სამი თავდამსხმელით ითამაშა. თბილისელების რამდენიმე ამხანაგური მატჩი ვნახე, მაგრამ რაც მათ ბორისოვში ითამაშეს, ნანახისგან აბსოლუტურად განსხვავებული გამოდგა. ვფიქრობ, „დინამო" თბილისში უფრო ფრთხილი იქნება. მათ ხომ პირველი მატჩი მოგებული აქვთ და თბილისში აღარ გარისკავენ. თუმც ტემპერამენტიანი ქართველი ქომაგის იმედი მაქვს, ისინი ფეხბურთელებს შეტევას მოსთხოვენ და ამით ეგებ ვისარგებლოთ კიდეც. მსურს, რომ ღია თამაში იყოს, ასე გატანის მეტი შანსი გვექნება.

— თბილისში წამოსვლამდეც ვთქვი, „დინამოსა" და ბატეს შანსებს 60-40-ზე ვაფასებ. არ ვფიქრობ, რომ „დინამოს" დიდი უპირატესობა აქვს. მათ თუ სამი გოლი გაგვიტანეს, იგივე ჩვენც უნდა ვცადოთ — თქვა ბატეს მწვრთნელმა იური პუნტუსმა.

ბოლოს კი ესეც: თბილისის „დინამო" დღევანდელ მატჩზე ისეთ წესრიგს გვპირდება, სხვა დროისთვის სამაგალითო რომ უნდა იყოს. წესრიგს „ეროვნულზე" დაცვის კერძო სამსახურების „აბჯარისა" და „ფალავანის" ბიჭები პოლიციელებთან ერთად დაიცავენ, რომლებიც ყველანაირი ექსცესის აღსაკვეთად გაწვრთნილ-გამოცდილები არიან. სტადიონზე შესასვლელად შეგიძლიათ ცაბაძის ქუჩიდან მიბრძანდეთ, ოღონდ უბილეთოდ — არა. არ შეგიშვებენ და იმიტომ. ბილეთები სამი და ხუთი ლარი ღირს. ასევე მკაცრად გაკონტროლდება ჩრდილოეთ-სამხრეთი ტრიბუნა, იქ ხის სკამებია, სადაც დასხდომა არ შეიძლება. მატჩი კი რვა საათზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**

# ბატე თბილისში ბისტროს ეძებს

*დღეს ბორისოველები არაფერს დათმობენ და დინამოელებს გვარიან ოფლს ადენენ. გუშინდელი ვარჯიშისას ბელარუსები უგუნებოდ სულაც არ იყვნენ და შინაური მარცხისთვის რევანშზე ლაპარაკობდნენ. „ეროვნულზე“ ბატე კარგად დაიტვირთა და ერთადერთი, რაზეც სტუმრებმა დაიწუწუნეს, თბილისური სიცხე იყო.*

*ჩვენს რესპონდენტებად კი ბატეს წამყვანი ფეხბურთელები იყვნენ — ფორვარდი ნიკოლაი რინდიუკი და ნახევარმცველი ევგენი ლოშანკოვი.*



# დინამომ ტანი აიყარა

**ნიკოლაი რინდიუკი:**

— ბრძოლისთვის მზად ვართ. ბორისოვში „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩავატარეთ. ასე რომ, ძალების აღსადგენად და მოსამზადებლად საკმაო დრო გვქონდა. თბილისში მოვალეობის მოსახდელად კი არა, მოსაგებად ჩამოვედით.

— პირველი თამაშისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქე ჯეროვნად ვერ შეაფასეთ...

— „დინამო“ ქართული ფეხბურთის მარკაა, ჩვენ კი ქართულ ფეხბურთს დიდ პატივს ვცემთ. თქვენს რამდენიმე მოთამაშეს პირადადაც ვიცნობ, მაგალითად, ლევან სილაგაძეს, ასე რომ, ვიცოდი, რა დონის მეტოქესთან მოგვიწევდა თამაში.

— მაშ, როგორ ახსნით, რომ ორი გოლის შემდეგ თამაში დაკარგეთ და შეხვედრაც დათმეთ?

— პირველი ტაიმის ბოლოს გაშვებულმა გოლმა გაგვტეხა. ტაიმი 2:0 რომ მოგვეგო, არა მგონია, მოვლენები ისევე განვითარებულიყო. 2:1 ისეთი ანგარიშია, რომ შეტევას გვაიძულებდა. საბოლოოდ, არც ეს გამოგვივიდა და დავმარცხდით.

— თბილისელებისგან მოულოდნელი რა იყო ბატესთვის?

— სამი წლის წინ თქვენი გუნდი უფრო ტანდაბალი იყო. ახლა გაცილებით დიდი გაბარიტების ფეხბურთელები გყავთ. ტექნიკა კი, ბუნებრივია, არც ახლა აკლიათ ქართველებს.

— ბატეს კოზირი რა იქნება?

— სწრაფი გოლი და პირველი ტაიმის მოგება ფრთებს შეგვასხამს.

— გჯერათ, რომ თქვენს გუნდს „დინამოს“ ბარიერის დაძლევა შეუძლია?

— რატომაც არა?! ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

— „დინამოსთან“ მარცხის შემდეგ თქვენი გუნდი გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. ეს თბილისელებთან მარცხით გამოწვეული შოკის ბრალიც ხომ არ არის?

— მეორე ადგილზე იმიტომ ვართ, რომ მინსკის „დინამოსთან“ მეთოთხმეტე ტურის მატჩი გადაგვიდეს და ჯერაც გასარკვევია, ვინ პირველზეა და ვინ მეორეზე. შოკში კი არც ვყოფილვართ. ის, რაც ბორისოვში მოხდა, ყველამ დავივიწყეთ.

— რომელი ქართველი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?

— როგორც ფორვარდს, ორი ცენტრალური მცველი (ჭიჭვეიშვილი და სალუქვაძე) დამამახსოვრდა. ძალიან ჯანმაგარი ფეხბურთელები არიან.

— თქვენს კარიერაში მოსკოვის „ლოკომოტივის“ სახელიც ფიგურირებდა. ფაქტობრივად, ამ გუნდის წევრი უნდა გამხდარიყავით, მაგრამ... ბატეში დაბრუნებამ თქვენს თამაშზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედა?

— ასეც ხდება. ახალგაზრდა ვიყავი და ჩემი შანსი ვერ გამოვიყენე. შემდეგ იმდენად მძიმე ტრავმა მივიღე, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებაზეც კი ვფიქრობდი. ახლა ნელ-ნელა ისევ ძველებურად ვიწყებ თამაშს. ვიმედოვნებ, რომ თბილისში აქტიური და სასარგებლო ვიქნები.

— თქვენ „დინამო“ — ბატეს სამი წლის წინანდელ მატჩშიც ითამაშეთ. რა განსხვავება დაინახეთ ორ „დინამოს“ შორის, ვკითხეთ **ევგენი ლოშანკოვს**...

— თვალშისაცემი იყო ის, რომ ახლა „დინამო“ ტაქტიკურად უფრო გამართულად მოქმედებს. მეტია გუნდური თამაში და ბრძოლა. ტექნიკურადაც უკეთ არიან მომზადებული. როდესაც ბურთი ქართველ ფეხბურთელს აქვს,ართმევა ძალიან ძნელია და ამისთვის რაღაც ახლის მოფიქრებაა საჭირო.

— ბატეს არაფერი აქვს დასაკარგი, ავანტიურისტულ ფეხბურთს ხომ არ ითამაშებთ?

— არა მგონია. ეს შეიძლება მხოლოდ მატჩის ბოლოს, თანაც ისეთი ანგარიშისას, რომელიც ჩვენთვის არახელსაყრელი იქნება.

— ბატეს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ხართ. რას ელოდებით თქვენი გუნდისგან?

— თუ ბორისოვში ორი გოლის გატანა მოვახერხეთ, თბილისში რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე...

— იქ სამი ბურთის გაშვებაც მოახერხეთ...

— ასეა, მაგრამ [illegible] შეხვედრაში დაშვებულ შეცდომებს [illegible] რებთ.

— პირველი შეხვედრიდან რომელი ქართველი ფეხბურთელი დაგამახსოვრდათ?

— ვინც მარცხენა ფლანგს აკონტროლებდა (კვირკველია) და შეტევებშიც ჩინებულად ერთვებოდა. ძალიან გაგვაწვალა. საერთოდ კი, თქვენების თამაში ძალიან მომეწონა, კარგი ბიჭები არიან.

— ბორისოვში „დინამომ“ სამი ფორვარდით ითამაშა და ეს თქვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ახლა დინამოელებისგან დაცვით თამაშს ხომ არ ელით?

— არა მგონია, ისინი ისევ თავის თამაშს ითამაშებენ, იმას, რაც ბორისოვში აჩვენეს. სხვაგვარად შეიძლება დაისაჯონ კიდეც.

— სამი წლის წინანდელმა 4:0-მა, მგონი, დაგაარხეინათ...

— არა. ის სულ სხვა თამაში იყო. გაძევება და გოლი, კიდევ გაძევება და გოლი, რამაც საბოლოოდ მატჩის ბედი გადაწყვიტა კიდეც.

— თბილისში როგორ თამაშს ელით?

— ალბათ ძალიან დაძაბული შეხვედრა იქნება, „დინამომ“ თუ გაგვიტანა, იქნებ დიდი ანგარიშითაც წავაგოთ, თუ არა და, ვნახოთ.

**დავით ერაძე**



ევგენი ლოშანკოვი: ავანტიურა არ იქნება



ნიკოლაი რინდიუკს სწრაფი გოლი უნდა

# ნახევარდაცვა მთელი ამბავია

**ჩეხეთში** შეკრებაზე მყოფმა „ამერმა“ გუშინწინ ძირითადი შემადგენლობით კარლოვი ვარის „ბულდოჩი დვორის“ 5:2 სძლია, გუშინ კი ახალგაზრდული შემადგენლობით „ბლშანის“ 19-წლამდელებთან 0:1 დამარცხდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჭაბუკი ამერელები საკუთარი შეცდომების გამო დამარცხდნენ და არა მეტოქის სიძლიერით, თუმცა მეტოქე სუსტი არ ყოფილა — თავიანთ ასაკობრივ ლიგაში „სპარტას“, „ლიბერეცის“, „სლავიას“ და სხვათა ახალგაზრდულ გუნდებთან უწევს პაექრობა, ოთხი ფეხბურთელი კი ასაკობრივი ნაკრების წევრია.

მთავარი პრობლემა ამერელებს ნახევარდაცვაში ჰქონდათ, სადაც ბურთის დაჭერა უჭირდათ. შესაბამისად, სახიფათო იერიშების წამოწყება ჭირდა, დაკარგული ბურთი კი ბლშანელთა სწრაფი კონტრიერიშების მიზეზი ხდებოდა.

მიუხედავად ამისა, „ამერს“, სულ მცირე, ფრესთვის მაინც უნდა მიეღწია — 51-ე წუთზე ბესიკ ჩიმაკაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დავით მჭედლიშვილმა ვერ გამოიყენა, მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ორ-სამ ეპიზოდში კი რატი წინამძღვრიშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა დააყოვნა.

ერთადერთი გოლი ამერელთა კაპიტნის ლადო ნადირაშვილის კარში მე-15 წუთზე პეტრ ლოსმა გაიტანა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნადირაშვილი, ა. აბაშიძე (სამსიანი 58), ბერიანიძე, გვაძაბია, ნიკოლაიშვილი, გარუჩავა (ვარამიშვილი 62), ბუალავა, მჭედლიშვილი, შონია, წინამძღვრიშვილი, ჩიმაკაძე*

**გიორგი დარჯანია**

„ამერის“ პრესსამსახურის უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პაიჭაძემ მაიმუნი გაქცია, მაიმუნმა ქართული ფეხბურთი დახია

*თავი, თვალები, ცხვირი, პირი, კბილები, ტანი, ხელები, ფეხები, საკვების მიღების და მონელების მექანიზმი, ბგერათა გამოცემის სისტემა — ეს არის ადამიანი, მაგრამ... ეს არის მაიმუნიც. ადამიანი და მაიმუნი სხვადასხვა ცხოველია. მართკუთხა მოედანი, მის თავსა და ბოლოში ხარიხით შეერთებული ორი ვერტიკალური ძელი, ორი გუნდი თერთმეტი მოთამაშით, ბურთი, გოლი, პენალტი — ეს არის ფეხბურთი, მაგრამ... ასეთივეა ისიც, რასაც საქართველოში თამაშობენ...*

# ! ფეხბურთი და ის, რასაც საქართველოში თამაშობენ, სხვადასხვა სახეობაა !

ამიტომაც ვერ ვამბობთ, რომ ამა თუ იმ მეტოქესთან (თუ გნებავთ, კრაკოვის „ვისლასთან“) ჩვენებმა არ მოინდომეს და ვერ მიხვდნენ, რომ შინ 2:8 დამარცხებით ჩვენ გვაყენებდნენ შეურაცხყოფას. არა და არა, ჩვენებმა მოინდომეს, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს, ოღონდ ეგაა, მათ სხვა სახეობაში მოინდომეს. ჩვენებმა გააკეთეს ის, რაც მათი სახეობის წარმომადგენელმა მწვრთნელმა თუ ფეხბურთელმა უნდა გააკეთოს, უბრალოდ, ცუდი ის არის, რომ ამ ორ სახეობაში შედეგი ერთნაირი წესით ითვლება.

ერთი სიტყვით, დღეს კონკრეტული გუნდის ხსენება და მომხდარში მისი დადანაშაულება, ვფიქრობთ, შეცდომაა. საქართველოს აბსოლუტურად ყველა სხვა გუნდს იმ დღეს გაუმართლა, რომ მოედანზე არ იყო, თორემ ზუსტად იგივე (პლუს-მინუს ერთი-ორი გოლი) დაემართებოდა — თვითონ აქაურ სახეობას გაახურებდა, „ვისლა“ კი ფეხბურთში მოუგებდა.

ვიცით, რომ ამ სიტყვებით იმ იღბლიან ხალხს ვაწყენინეთ, ვისმა გუნდმაც გუშინწინ „ვისლასთან“ არ წააგო. მათ შეუძლიათ თქვან, რომ რომც შეხვედროდნენ, ასე ნაღდად არ წააგებდნენ. მართლაც, როგორ გინდა დაუმტკიცო, იგივე რომ მოუვიდოდათ?! ოდესმე რომ მოუვათ, ფაქტია, მაგრამ მაშინ ხომ ეს ჩვენი წერილი და აქ გამოთქმული სიტყვები არქივში იქნება გადანახული — გაზეთი ისეთი რამ არის, სულ ახალ-ახალია საჭირო, შიგ თუგინდ ძველი აზრი მეორდებოდეს და მეორდებოდეს.

და, ვფიქრობთ, სწორედ ამაშია საქმე: ეს ძველი აზრი, უფრო სწორად, ძველი ფაქტი უნდა შევცვალოთ, თორემ წლეულს ერთი გუნდი გავისლავდება და გაისად მეორე. საჭიროა, საქართველოში ფეხბურთის თამაშს დავუბრუნდეთ, თუ არ ვიცით, ეს როგორ უნდა, ვინც იცის, იმას დავუძახოთ და ავახსნევინოთ, მოკლედ, უნდა მოვიფიქროთ, თორემ ისე თავს მოვიტყუებთ და... ჯიბესაც. თუ ვინმე წვრილმან მაქინატორს, ჩვენში დღეს შექმნილი მდგომარეობის წყალობით რომ ილოღნება, ჰგონია, რომ ასე უფრო მეტს შოულობს, ვიდრე ნამდვილი ფეხბურთით იშოვნის, დიდი სულელი ვინმე ბრძანებულა. ბოლოს და ბოლოს, ის ხალხი, ვისაც მართლა ფეხბურთი უნდა, გადაშენდა? ნუთუ ტყუილად გვგონია, რომ მთელი საქართველო ამ ხალხისგან შედგება?

თუ შედგება და, რა გვჭირს? ისე დაგვიბნელდა გონება, რომ ვერ ვჳვდებით, საით მიდის ნამდვილი ფეხბურთი და საით მივეთრევით ჩვენ? თუმცა, ალბათ არც უამისობაა. საცოდავები კი ისევ ის ბურთს გამოკიდებული ბიჭები და სხვა ნიჭიერი ადამიანები არიან, ჯერ კიდევ რომ ეპოტინებიან თავიანთ საყვარელ თამაშს. ვის ვგულისხმობ? ერთ-ორ მწვრთნელს, ერთი-ორი კლუბის პრეზიდენტს, ერთი-ორ ჟურნალისტს, ბევრ გულშემატკივარს და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კიდევ უფრო მეტ ქართველს, რომელიც ან გაზეთს ჩახედავს და ან ტელევიზორში მოისმენს, რომ ანგარიში 2:8 იყო და ძალიან ჩასწყდება გული.

**პაპუნა ძიძია**

**კომპანია ვიტ ჯორჯია**



**ვიტ ჯორჯია აჭმევს შინაურ ცხოველებს, მკურნალობს საქონელს. ვიტ ჯორჯიამ ხალხსაც აჭამა...**

# WIT GEORGIA-ში ყველაზე საცოდავია GEORGIA, ყველაზე სასაცილო კი WIT: აბრევიატურულად World Innovation Technologies, ინგლისურად კი გონიერი, ნიჭიერი და გამჭრიახი...

FC WIT GEORGIA
NOBLESS OBLIGE

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოსიეკის NEIN
# ბირჰოფის ჯერ არა
## მათეუსი კლინსმანს და შტუტგარტელებს აუჯანყდა





ჰოლგერ ოსიეკს სავარაუდოდ რალფ რანგნიკი შეცვლის

**ჰოლგერ ოსიეკმა იურგენ კლინსმანის თანაშემწეობა იუარა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის წევრებმა, კლინსმანმა და ოსიეკმა რამდენიმე საათის განმავლობაში ისაუბრეს ნაკრების სამომავლო გეგმებზე, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ**



კავშირის პრესმდივნის თქმით, შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა, თუმც ბუნდესნაკრების მწვრთნელი და მისი სავარაუდო თანაშემწე საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათი ერთად მუშაობა შეუძლებელია.

უთანხმოების მიზეზი უცნობია. „ბილდის" აზრით, შესაძლოა, განხეთქილება აილტონის საკითხმა გამოიწვია. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ოსიეკმა განაცხადა, მისი დარი მეგოლის გამოუყენებლობა შეცდომად მიმაჩნია და მასზე უარი არ უნდა ვთქვათო.

კლინსმანმა კი უპასუხა, რომ გერმანიის ნაკრებსა და ბრაზილიელ ფორვარდს შორის კავშირს ვერ ხედავს, ანუ აილტონის „გაგერმანელება" არ ისურვა.

გარდა ამისა, ჰოლგერ ოსიეკს ფეხბურთელთა მოსამზადებლად ნაირნაირ სპეციალისტთა მოწვევის იდეა დაუწუნებია.

ერთი სიტყვით, ბუნდესნაკრების თავკაცი თანაშემწის გარეშე დარჩა. არადა, საფეხბურთო კავშირი ხვალისთვის ყველა დეტალის საბოლოოდ გარკვევას გეგმავდა.

ჰოლგერ ოსიეკის ადგილს ალბათ, 46 წლის რალფ რანგნიკს შესთავაზებენ. რანგნიკი და კლინსმანი ერთმანეთს „შტუტგარტიდან" იცნობენ და დღემდე მეგობრობენ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა კონტრაქტი ვერც ოლივერ ბირჰოფთან გააფორმა. მომავალ მენეჯერთან ხუთსაათიანი საუბრის შემდეგ ბირჰოფიც „ჰაერში გამოეკიდა".

ბუნდესნაკრებს ჯერჯერობით მხოლოდ მწვრთნელი ჰყავს, რომლის დანიშვნაც ლოთარ მათეუსმა პოლიტიკის ნაწილად მიიჩნია. მათეუსის აზრით, თავად შტუტგარტელი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი (საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი) თავისი კუთხის შვილების „გაქაჩვას" ცდილობს. იურგენ კლინსმანის „შტუტგარტში" თამაშისას მაიერ-ფორფელდერი ამ კლუბის პრეზიდენტი იყო.

„კლინსმანი გერმანიაში მუდმივად ვერ იცხოვრებს, რადგან ლოს ანჯელესში ცოლ-შვილთან ხშირად მოუწევს სიარული. ეს უკვე დიდი პრობლემაა. თან მან თქვა, სანაკრებო სტრუქტურის შეცვლას და ათწლიანი პროგრამის შემუშავებას ვაპირებო. რა გამოდის? 2006 წელს ნაკრები თუ ჩავარდა, კლინსმანი თავს გაიმართლებს და იტყვის, ხომ გაგაფრთხილეთ, შედეგი მალე არ იქნებაო" — განაცხადა ლოთარ მათეუსმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იურგენ, მამას გაუფრთხილდი!

იურგენ კლინსმანის დედა, მარტა, საკუთარ პურის საცხობში რომ ფუსფუსებს, ამის შესახებ გუშინ ვწერდით.

ბუნდესნაკრების მწვრთნელის მამა, 71 წლის ზიგფრიდიც იმავე საცხობში საქმიანობს, მიუხედავად იმისა, რომ კუჭის კიბოთია დაავადებული. იგი ქიმიოთერაპიით მკურნალობს და იმედიანადაა. გერმანიაში შვილის ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე შეუძლოდ გამხდარა და კლინიკაში წაუყვანიათ. ახლა, როცა მისი ვაჟი სამშობლოშია, ბატონი ზიგფრიდიც თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, მით უფრო, რომ ამერიკელი რძალი და შვილიშვილები ხშირად სტუმრობენ.

აქვე ერთი ამბავი გავიხსენოთ: სამი წლის წინ გერმანიამ ინგლისთან შინ 1:5 რომ წააგო, მაშინდელი მწვრთნელის, რუდი ფიოლერის მამას გულის შეტევა დაემართა და კინაღამ მიქელ-გაბრიელს მიაბარეს...

**ვაჟა ხუციშვილი**



# ძველი ახალზე
## ფიოლერი ჰიცფელდმა მოატყუა

**რუდი ფიოლერის გადადგომიდან 35 დღე გავიდა. გერმანია იურგენ კლინსმანს ჩააბარეს, ფიოლერმა კი „ბილდთან" სასაუბროდ მოიცალა და ახალი მწვრთნელის სამომავლო გეგმაც შეაფასა**

— **კლინსმანთნ გისაუბრიათ და მის მრჩევლობას ხომ არ აპირებთ?**

— ჩემი რჩევა ალბათ არ დასჭირდება, თუმც დასახმარებლად შეუძლია ნებისმიერ დროს მომმართოს.

— **ოლივერ ბირჰოფს მენეჯერად ნიშნავენ, თქვენ რატომ არ გყავდათ მენეჯერი?**

— აუცილებელიდ არ იყო. ამ საქმეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის დირექტორი საკმაოდ კარგად ასრულებდა.

— **ნაკრებისთვის მენეჯერი ზედმეტია?**

— ჩემი მწვრთნელობისას შესაძლოა, ასეც გახლდათ, მაგრამ ახლა სხვაგვარად მიუდგნენ საქმეს და ვფიქრობ, ოლივერ ბირჰოფი დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევს. ოღონდ მისი როლი მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.

— **ზეპ მაიერმა თქვა, უკეთესი იქნებოდა, ფიოლერი ევრო 2004-მდე წასულიყო, რადგან ოტმარ ჰიცფელდი მის შესაცვლელად მზად იყოო.**

— პორტუგალიამდე დავრწმუნდი, რომ ჰიცფელდი ჩემი ადგილის დაკავებაზე არ ფიქრობდა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი შემცვლელად სწორედ ის მიმაჩნდა, მაგრამ მისმა უარმა მეც ისევე გამაოგნა, როგორც მთელი გერმანია. არ მეგონა, რომ ახალი მწვრთნელის მოძებნა ასე გაჭირდებოდა.



— **გადადგომიდან 35 დღის შემდეგ წასვლას არ ნანობთ?**

— არა, რადგან ეს გადაწყვეტილება ცივი გონებით მივიღე. 4 წელი ნაკრების თავკაცობა საკმარისია და ახალი კაცის მოსვლა ჯობდა.

— **სამომავლოდ რა აპირებთ?**

— ჯერ არ ვიცი. ჯანს არ ვუჩივი და მწვრთნელობას კვლავაც შევძლებ.

— **იურგენ კლინსმანის ორწლიანმა კონტრაქტმა ხომ არ გაგაკვირვათ?**

— ვფიქრობ, ასე უკეთესია. მოკლევადიანმა კონტრაქტმა გაცილებით ეფექტური შედეგი უნდა მოიტანოს.

— **18 აგვისტოს ვენაში გერმანია ავსტრიას ამხანაგურად ხვდება. კლინსმანის სადებიუტო მატჩს დაესწრებით?**

— ჯერ არ ვიცი, ისე კი კლინსმანისეულ ნაკრების წარმატებისა მჯერა და იმედიანად ვარ განწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გემრიელი ულუფა

## ერიქსონმა ინგლისური კარიერა ლოგინში დაასრულა



**ინგლისის ნაკრების მექალთანე შვედი მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის ბოლოდროინდელ სკანდალზე „ეშმაკის მანქანებიდან“ იმდენი ცნობა, ანალიზი, ვერსია თუ სხვა რამ ამოიყარა, რომ მათი წაკითხვა, შეჯერება და ერთ სტატიად გადამუშავება სადისერტაციო გარჯას მოითხოვს და ამიტომ, თქვენი ნებართვით, არ შევეჭიდებით.სხვა ამბავია, რომ საერთაშორისო ფეხბურთის ქართველ მკითხველს სვენურ ახალ ამბებს არ დავუმალავთ და მოწესრიგებული, ულუფებად დახარისხებული სახით მივაწვდით. დავიწყოთ ასე:**



### მარკ პელიოსი

ეს ის ადამიანია, რომელსაც სვენმა ქალი (ფეხბურთის ასოციაციის მდივანი ფერია ელამი) გაუბახა. პელიოსი, მოგეხსენებათ, ასოციაციაში აღმასრულებელ შეფად მუშაობს. იგი ამ თანამდებობაზეა 18 თვე და რომ ვთქვათ, ამ ხნის მანძილზე ინგლისის ნაკრებმა რაიმე თვალშისაცემ წარმატებას მიაღწიაო, მოვიტყუებთ. ერთი სიტყვით, მართალია, თავის ბოლო გამოსვლაში ასოციაციის თავმჯდომარემ, ჯეფ ტომპსონმა პელიოსს რისხვა აარიდა (ალბათ, იმიტომ, რომ ახლა საჭიროა მთელი რისხვა მწვრთნელს დაატყდეს თავს, ეგეც არ იყოს, პელიოსი ცოდოა, ქალიც დაკარგოს და სამსახურიც), მაგრამ მიმომხილველებს სწამთ, რომ აღმასრულებელი შეფის ბედი უახლოეს მომავალში, ამ შემოდგომაზე გადაწყდება.

უფრო დავაკონკრეტოთ: ინგლისის ნაკრებს, ისევე როგორც ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ გუნდს, სექტემბერში მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება ეწყება. ინგლისელები ავსტრიელებს და პოლონელებს ხვდებიან და ახლა უკვე ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ ნალდი, საბოლოოდ შერჩეული და დანიშნული მწვრთნელი არ ეყოლებათ — იგულისხმება, რომ სვენს უახლოეს დღეებში დაითხოვენ თანამდებობიდან — რაც ცუდად გამოსვლის საწინდარია. დათვლილია, რომ თუ ნაკრები ამ ორ შეხვედრაში დამარცხდება, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია 20 მილიონ გირვანქას დაკარგავს, რაც, დიდი ეჭვია, ქალდაკარგულს სამსახურის დაკარგვადაც დაუჯდება. მოკლედ, ინგლისელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მათი ნაკრების ახლანდელი უშედეგობა მხოლოდ სვენ გორან ერიკსონს კი არა, მარკ პელიოსის და ერიკსონის წყვილის ბრალია და ის, რომ ამ წყვილიდან ერთმა მეორეს ქალი შეუცდინა, მხოლოდ ბედის ირონიაა.

## ძნელია სვენობა



ხოლო როგორია დღეს სვენობა, ეს ცალკე საუბრის თემაა. კაცი, რომლის ხელფასიც წელიწადში 4 მილიონი გირვანქა იყო, რჩება უხელფასოდ, უქალოდ და ცანცარას სახელით.

გვესმის, რომ სამივე პუნქტზე შეიძლება კამათი. მაგალითად, უხელფასობა სვენს არ დაემჩნევა, ეს ფაქტია, მაგრამ მოდით, ჩვენი, ფიზიკურად მშიერი ადამიანების გადასახედიდან ნუ შევაფასებთ მის მდგომარეობას. ჩვენ ხომ წარმოდგენა არ გვაქვს, რას ნიშნავს წელიწადში ოთხმილიონ გირვანქიანი ხელფასის შეწყვეტა.

რაც შეეხება უქალობას, აქ მარკ პელიოსის ცუნცულა ფერია ელამზე არ არის საუბარი, აქ საუბარია იმაზე, რომ სვენ გორან ერიკსონს მთავარი მეგობარი, მისი თანამეცხედრე ნენსი დელოლიო გაექცა. ეს ქალბატონი შვიდი წელია ერიკსონის გვერდით იდგა და ნუ დავივიწყებთ, რომ (როგორც ამბობენ) სანახევრო პატრონია ლონდონის, შვედეთის, იტალიის და პორტუგალიის სახლებისა, ხოლო ეს სახლები რომ ერთოთახიანი ბინები არ არის ლოჯის მიშენების პერსპექტივით, ამის გარანტიას ჩვენ გაძლევთ. ასე და ამგვარად, სვენი ქალს ყოველთვის იშოვნის, მთლად მართალი ნათქვამი ვერ უნდა იყოს. ერთი, რომ შვიდი წელი ქალთან უსიყვარულოდ არავინ ჩერდება და მერე ქონება...

და რჩება ცანცარას სახელი, რატომ? აბა, რას გადააყოლა ეს ყველაფერი, ერთ-ორ გასეირნებას შეფის საყვარელთან?

## რაინდები



ტრევორ ბრუკინგი და ბობი რობსონი

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რა უნდა გააკეთონ ინგლისელებმა ამ დღეებში. უფრო სწორად რას აპირებენ, თორემ რა უნდა გააკეთონ, ამას ჩვენ ნამდვილად არ დაგვეკითხებიან.

უახლოეს ხანს ინგლისელებს უკრაინასთან უწევთ ამხანაგური თამაში და აპირებენ, ამ თამაშში გუნდის ხელმძღვანელობა „მიდლსბროს“ თავკაცს, სტივ მაკლარენს სთხოვონ. მაგრამ ხომ შეიძლება „მიდლსბროს“ არ ეპიტნავოს თავისი მწვრთნელის სამუშაოდან მოცდენა და ნაკრებისთვის თხოვება? მაშინ, როგორც ირკვევა, ფეხბურთის ასოციაცია ორი სერიდან ანუ რაინდიდან ერთ-ერთს, ტრევორ ბრუკინგს ან ბობი რობსონს სთხოვს დახმარებას.

## სვენცდომები

სვენი ინგლისის ნაკრებს სამწელიწადნახევარია თავკაცობს და ამ ხნის მანძილზე:

ა) 2002 წელს იყო სექს-სკანდალი შვედ ტელეწამყვან, ცნობილ მაცდურ ულრიკა იონსონთან დაკავშირებით. მაშინ სვენს ნენსი დელოლიოსთვის დიდი ბოდიშების მოხდა დასჭირდა.

ბ) ულრიკას ამბიდან ცოტა ხანში სვენმა და მისმა ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე იცოდვილეს რაღაც, რასაც სრულიად სიმბოლური სახე ბრაზილიელმა რონალდინიომ მისცა, როდესაც 35 მეტრიდან გაუტანა დევიდ სიმენს.

გ) ამის მიუხედავად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია სვენს მაინც ენდო და ვება ხელფასიც დაუსახა, მან კი ჩუმად „ჩელსის“ აღმასრულებელ შეფთან, პიტერ კინიონთან დაიწყო შეხვედრები. სვენი „სანმა“ ამხილა. საბოლოოდ ერიკსონმა რომან აბრამოვიჩის მილიონებზე უარი თქვა და ნაკრებში დარჩა.



დ) ევრო 2004-ზე ინგლისმა თავის ტრადიციულ ფეხბურთს დაცვა ამჯობინა. სხვა ამბავია, რომ ცხელ გულზე ნაკრების მარცხი ყველამ შვეიცარიელ მსაჯს ურს მაიერს დააბრალა (დღესაც აბრალებენ), რომელმაც პორტუგალიასთან შეხვედრაში სოლ კემპბელს გოლი არ ჩაუთვალა.

ე) და ბოლოს, სვენს ფერია ელამი შემოესიყვარულა.

**პაპუნა ძიძია**

# ჯერ სტუმარს აწყენინეს, მერე ერთმანეთს

## მანჩინი ბიჭებს პენალტებზე ზრდის

მილანის „ინტერმა“ და რობერტო მანჩინიმ წლეულს პირველი ტიტული მოიგეს — „ტიმ კაპი“, იგივე სამთა მინი-ტურნირი, რომელშიც მონაწილე გუნდები მხოლოდ ერთი ტაიმის მანძილზე უმტკიცებენ ერთმანეთს თავიანთ უპირატესობას.

მოგეხსენებათ, სერია A-ს ერთ-ერთი სპონსორი სწორედ „ტელეკომ იტალია მობილე“, ანუ ტიმ-ია და მისი სახელობის თასიც გუშინწინ მხოლოდ მეოთხედ გათამაშდა.

იტალიური ფეხბურთის სამი ვეშაპი — „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“ შეეტოქა ერთმანეთს „სან სიროზე“ და ბოლოს ისე მოხდა, რომ მილანელები იოლად გაუსწორდნენ მიპატიჟებულ „ბებერ ქალბატონს“ და ფინალში წლევანდელი პირველი მილანური დერბიც ვიხილეთ.

სანამ ფინალზე ვიტყოდეთ, წინა ორ თამაშზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით: 55 ათასი მოსეირეს თვალწინ „სან სიროს“ მინდორი პირველად „იუვემ“ და „ინტერმა“ გათელეს. იცით, ორივე გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ასევე ფეხბურთელები (უმეტესად „ნეროაძურის“), ტაქტიკაც და განსწავლულობაც კაპელოსეულ-მანჩინისეულია და თამაში გაჩაღდა, თქვენი მოწონებული: სირბილი, მოძრაობა, დინამიკა, აქეთ-იქით მომენტები... უფრო იღბლიანი კი „ინტერი“ გამოდგა — 37-ე წუთზე ობაფემი მარტინსმა თურქი ემრეს მოედნის სიღრმიდან მიწოდებული ჩინებული პასი შეირგო და ჯიჯი ბუფონს შანსი არ დაუტოვა.

დამთავრდა ეს მატჩი და 10 წუთში მოედანზე „მილანი“ და „იუვენტუსი“ გავიდნენ. ორივე გუნდი თითქმის უძლიერესი შემადგენლობით იყო: კარლო ანჩელოტიმ შევჩენკო და კაკა არ ათამაშა, ფაბიო კაპელომ კი ნედვედი და ძამბროტა.

შევჩენკოს ნაცვლად ანჩელოტიმ 18 წლის ყმაწვილ ნიკოლა პოცის მისცა შანსი — ვისზედაც ამბობენ, პიპო ინძაგის გამოჯანმრთელებამდე მეოთხე თავდამსხმელი იქნებაო — და მანაც პირველივე შეხვედრაში გამოიჩინა თავი. უფრო თუ დავაზუსტებთ, ბუფონთან პირისპირ შეყრილმა არგენტინელმა ერნან კრესპომ პოცის გაატანინა.

მეორე გოლი „როსონერიმ“ მე-10 წუთზე შეაგდო. კაფუმ მარჯვნიდან ჩვეულად ჩააწოდა, ამბროზინიმ კი ბუფონი მოძრაობაზე დაიჭირა და თავურით „იუვეს“ მეკარეს საპირისპირო კუთხეში შეუგდო.

ასე და ამგვარად, „იუვენტუსი“ ფინალს მიღმა დარჩა. ფინალი და პირველი წლევანდელი დერბი კი „ინტერმა“ პენალტებით მოიგო. საკმაოდ უსახურ მატჩში რობერტო მანჩინიმ ძალიან ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და მათაც შანსი ჩინებულად გამოიყენეს — ყველა პენალტი ზუსტად დაარტყეს, გამოცდილ კრისტიან აბიატის შანსი არ დაუტოვეს და „ტიმ კაპიც“ „ინტერის“ იმდღევანდელმა კაპიტანმა, კოლუმბიელმა ივან კორდობამ ჩაიბარა.

და ჩვენთვის სასიამოვნო ამბავიც: კახა კალაძემ ორივე მატჩი ითამაშა, დაცვის მარცხენა ფლანგი ჩვეულებისამებრ ებარა და ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

**გიორგი ვაჩაძიძე**




### TIM CUP 2004

**იუვენტუსი 0:1 ინტერი**
0:1 მარტინსი (37)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტუ[illegible] ([illegible] 8), ლეგროტალიე, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, ბლაზი, ოლივერა, მიკოლი, ზალაიეტა
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**ინტერი:** ფონტანა, ი. კორდობა, ბურდისო, მატერაცი, ფაველი, დ. სტანკოვიჩი, ვერონი, კ. ძანეტი, ემრე, ხ. კრუზი, ო. მარტინსი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
55 000 მაყურებელი

**მილანი 2:0 იუვენტუსი**
1:0 პოცი (5), 2:0 ამბროზინი (10)
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, დორასო, ამბროზინი, კრესპო, პოცი
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ფერარა, იულიანო, პესოტო, ბრიგი, ბლაზი (ბაიოკო 22), აპია, ოლივერა (კიელინი 22), დელ პიერო, ტრეზეგე
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
55 000 მაყურებელი

**მილანი 0:0(პენ.4:5) ინტერი**
**მილანი:** აბიატი, კოსტაკურტა, ნესტა (კაფუ 30), მალდინი, კალაძე, ბროკი, დორასო, პირლო, ამბროზინი (გატუზო 30), კრესპო, პოცი (ბარბიერი 18)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**ინტერი:** ფონტანა (კორდაცი 25), ი. კორდობა (სემენცატო 43), სორონდო, ბურდისო (მატერაცი 33), პასკუალე, ვან დერ მეიდე (მომენტე 38), დ. სტანკოვიჩი (ჯერმინალე 38), კამბიასო, ემრე (კ. ძანეტი 10), ვენტოლა (ლარიდი 44), ო. მარტინსი (ფაუტარიო 38)
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
55 000 მაყურებელი

# პუმა იუვენტუსით შეიმოსება

## ემერსონმა ტურინისაკენ გასწია




ემერსონი „რომადან“ „იუვენტუსში“ გადავიდა და ამ ზაფხულის ყველაზე გაჭიანურებული ტრანსფერი დასრულდა.

28 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველი, მეტსახელად „პუმა“, კვლავ ფაბიო კაპელოს გუნდში ითამაშებს.

ემერსონს ძალიან სურდა „იუვეში“ გადასვლა, მაგრამ კლუბები ვერ თანხმდებოდნენ. საქმე ისე გაჯანჯლდა, რომ დაღონებული ფეხბურთელი ევროპის მიტოვებას და სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა.

„ჩვენ უკვე მოვრიგდით, მხოლოდ წვრილმანებია დასაზუსტებელი. ემერსონს „იუვენტუსის“ მაისურა ელის“ — თქვა ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

იტალიური სააგენტო „ანსას“ ცნობით, „იუვენტუსმა“ ბრაზილიელის სანაცვლოდ დაახლოებით 14 მილიონი ევრო გადაიხადა და თან რომაელებს მატეო ბრიგისაც დაუთმობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## „ნაპოლი“ და „ანკონა“ სერია B-დანაც დაიფრინეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო იტალიის სასამართლომ, როდესაც დარწმუნდა, რომ ამ ორ კლუბს ახალი სეზონის წარმართვისთვის საკმარისი სახსრები არ აქვს.

„ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივი სცეს — განაცხადა იტალიის საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ — გუნდები, რომლებიც წესის თანახმად დათქმულ დროს წესრიგში ვერ იქნებიან, შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ“.

# უფულოები ძირს!

## რა მანძილია B და C-ს შორის?

ასე და ამგვარად, ხსენებული ორი კლუბი ცხოვრებას სერია C1-დან განაგრძობს, მაგრამ თუ ინებებენ, იმის თქმა გვინდა, რომ თუ გახსოვთ, შარშან ამ დროს წესით „კატანიაც“ უნდა გავარდნილიყო სერია B-დან სერია C1-ში, მაგრამ იმხელა სკანდალი ატეხა, რომ საბოლოოდ აქეთ გააზრდევინა ლიგასა და ფედერაციას გუნდების რაოდენობა. გამორიცხული არ არის, რომ „ნაპოლიმ“ და „ანკონამ“ „კატანიას“ მიბაძონ.

ხსენებული ორი კლუბის გარდა სასამართლომ ჩემპიონატიდან მოხსნა სერია C1-ის „კომო“ და „ვიტერბეზე“, ხოლო სერია C2-ში „ვარეზე“, „პალმეზე“, „ლაკილა“, „ბრინდიზი“, „ისერნია“ და „მედა ე პატერონო“.

ყოველივე ამის მიუხედავად, საფეხბურთო ლიგის შეფი ადრიანო გალიანი აცხადებს, რომ სერია B-ს ჩემპიონატი ჩვეულებრივ, 29 აგვისტოს დაიწყება. მანვე დასძინა, რომ სერია A 12 სექტემბერს დაიწყებს, ხოლო კალენდარი 12 აგვისტოს გამოქვეყნდება.

**პაპუნა ძიძიგური**

# მაკმანამანი საკუთარ თავს ებრძვის

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი ამ სეზონში კარგად თამაშს გვპირდება. მოგეხსენებათ, მაკმანამანი, რომელიც წლების განმავლობაში „ლივერპულში“, შემდეგ კი მადრიდის „რეალში“ თამაშობდა, გასული სეზონში უსახურად გამოიყურებოდა, ასე რომ, ქომაგების წინაშე პირი აქვს მოსაწმენდი.

„ყველას ვარწმუნებ, რომ ჩემი გული ისევ ფეხბურთს ეკუთვნის და ძველებურად ძალიან მოწადინებული გახლავართ — უთხრა მაკმანამანმა გაზეთ „მანჩესტერ ივნინგ ნიუზს“ — ახლა დღეში ორჯერ დიდი დატვირთვით ვვარჯიშობთ და მწამს, ეს მონდომება თავს სეზონის განმავლობაში გამოაჩენს.

ერთადერთი, რაც მინდა, ჯანმრთელობაა. მთავარია, ტრავმა არ შემეყაროს, იმიტომ, რომ ჩემთვის გასული სეზონი გაწბილებისა გამოდგა. სულ ერთი-ორი თამაში ჩავატარე და ისიც უგემურად. იმიტომ, რომ ქრონიკულმა ტრავმებმა დამტანჯა. ამდენი ტრავმა მთელი ცხოვრების განმავლობაში არ მქონია.

გაწბილების დედააზრი კი ის იყო, რომ შევიდოდი ფორმაში და დავშავდებოდი, შემდეგ ისევ წავივარჯიშებდი და ისევ დავშავდებოდი. იმედი მაქვს, ეს საშინელება აღარ განმეორდება“.

**პაპუნა ძიძიგური**





*მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი კასტილიურ გრანდში თავის მომავალს იმედიანად შესცქერის და სჯერა, რომ ადრე თუ გვიან, მსოფლიოს საუკეთესო მეკარე გახდება. იკერის საამსეზონო ოცნება კი პრიმერადივიზიონის მოგებაა. იაპონურ ტურნეში გამგზავრების წინ „რეალის“ მეკარე მადრიდულ „ასს“ ესაუბრა*

# კასილიასის სიზმარი

## გაიღვიძა და მსოფლიო იცნობდა

— როგორ მოგმართოთ, იკერი თუ სენიორ კასილიასი?

— იკერი, რა თქმა უნდა.

— ძალიან ახალგაზრდა ხართ, თუმცა ისე მეჩვენება, რომ რაც თავი მახსოვს, იკერ კასილიასი მადრიდის „რეალის“ კარს იცავს...

— მხოლოდ 23-ის ვარ და „რეალში“ ჩემს მეექვსე სეზონს ვიწყებ.

— რაც ამტკიცებს, რომ დრო საოცრად სწრაფად გარბის...

— გეთანხმებით. ხანდახან ვფიქრობ — ექვსი წლის წინ არაფერი მქონდა, არც ფული, არც პოპულარობა, ახლა კი...

— სახელ-დიდებასთან შეჩვევა არ გიჭირთ?

— რთულია შეჩვევა. წარმოიდგინეთ, თითქმის ერთ დღე-ღამეში იცვლები. დაიძინებ ყველასთვის უცნობი ბიჭი და მეორე დილას შეიძლება შენი სურათებით ჟურნალ-გაზეთების გარეკანები იყოს აჭრელებული. უეცარ პოპულარობას ამაზე უფრო კარგ შედარებას ვერ მოვუძებნი. ყველა სიტყვას, საქციელს დაკვირვება სჭირდება, არადა, პოპულარობას რომ შეეჩვიო, ამისთვის ძალიან ცოტა დრო გაქვს...

— „რეალში“ გატარებულმა ექვსმა წელმა რა შეგძინათ?

— უფრო მეტი პასუხისმგებლობა. ადრე რამე თუ შემეშლებოდა, იტყოდნენ — ახალგაზრდაა და ვაპატიოთო. დღეს ახალგაზრდობას გასასამართლებელ საბუთად ვერ მოვიყვან, ამიტომაც შეცდომების უფლებაც აღარ მაქვს.

— კამაჩოზე ამბობენ, ძალიან მკაცრი მწვრთნელიაო. იკერ, „რეალის“ დამრიგებლად მართლა „უწყალო სერჟანტი“ მუშაობს?

— კამაჩოს ბიჭობიდან ვიცნობ. მის საქციელში ზედმეტ სიმკაცრეს ვერ ვხედავ, ის პროფესიონალია და ჩვენგანაც იგივეს ითხოვს.

— კარლუშ კეიროშმაც კარგად იცოდა თავისი საქმე?

— დღეს კეიროშზე მხოლოდ ცუდს ლაპარაკობენ, არადა მან ჩვენი გუნდის საკეთილდღეოდ ყველაფერი გააკეთა. სხვა საქმეა, რომ „რეალს“ სეზონის არ გაუმართლა.

— მაშინდელი დამარცხებები რას უნდა მივაწეროთ?

— არ ვიცი. ალბათ ყველანი დამნაშავენი ვართ იმაში, რაც მოხდა.

— „რეალის“ ჩავარდნაში თქვენს ბრალსაც აღიარებთ?

— რა თქმა უნდა. ჩემს პასუხისმგებლობას თავიდან ვერ ავიცილებ...

— ესე იგი, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ გაქვთ?

— ჩემთვის მადრიდის „რეალის“ მეკარეობა არავის უჩუქებია. გარდა ამისა, კონკურენცია საჭირო და სასარგებლოა.

— პრიმერაში და ევროპულ ტურნირებზე მეტოქის მოიერიშეებთან ბრძოლამ ალბათ ბევრი რამ გასწავლათ...

— ძალიან ბევრი. თუმცა ვთვლი, რომ კიდევ უამრავი რამ უნდა შევისწავლო. მსოფლიოს საუკეთესო მეკარეობა მინდა, სწორედ ამის მისაღწევად ვმუშაობ.

— და ფულისთვისაც...

— მეგობარო, აბა, მარტო ფეხბურთის სიყვარულით ვინ იკლავს შრომით თავს?

— „რეალში“ კონტრაქტით კიდევ რამდენი წელი უნდა ითამაშოთ?

— კიდევ ორი სეზონი.

— ფლორენტინო პერესმა უკვე გამოხატა თქვენთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი?

— ამაზე დიდად არ ვნერვიულობ. პრეზიდენტს საკმაო დრო რჩება, ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე რომ იფიქროს.

— თქვენი აზრით, კონტრაქტის განახლება რაიმე სირთულეებთან იქნება დაკავშირებული?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე კი ვიცი, კლუბთან ხელმეორედ გარიგება იოლი არ იქნება. დიდ ფეხბურთში უკვე ბევრი რამ გამეგება.

—მომავალ სეზონში რის მოგებას გეგმავთ?

— კოპა დელ რეისა და პრიმერადივიზიონის, თუმც თუ მეტსაც შევძლებთ, ცხადია, კარგი იქნება. შარშან „ვალენსიამ“ თავისი გულშემატკივარი გაახარა, მეც მინდა, მადრიდულმა ინჩადამ „რეალის“ გამარჯვებები იზეიმოს.

— ჩემპიონობაზე ხშირად ოცნებობთ?

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ყოველ ღამე მესიზმრება სიბელესის შადრევანი გამარჯვებულ „რეალის“ ფეხბურთელებთან და ალტაცებულ ხალხთან ერთად.

— ვის მიუძღვნიდით ჩემპიონობას?

— 11 მარტს მადრიდში ტერაქტისას დაღუპულთა ხსოვნას.



## ამხანაგური მატჩი

**ურავა 1:0 ინტერი (II)**

**1:0 ემერსონი (51პ)**

**ინტერი: ტოლდო (ბინდი 88), დელაფიორე, ადანი, ჯანი, კოკო (ვისკონტი 80), კარაგუნისი (მარინო 87), ფარინოსი, ლამუში, ზიკუ (კოსტანცო 46; ლომბარდო 78), რეკობა, ხუტოსი (მეჯორინი 7)**

**მსაჯი: ნიშიმურა (იაპონია)**

**35 000 მაყურებელი**

## შვეიცარია

### სუპერლიგა. II ტური

**აარაუ 0:1 თუნი**

0:1 კულაჩოღლუ (67)

**ციურიხი 3:1 სენტ გალენი**

1:0 ა. კეიტა (12), 2:0 სეკარი (22), 2:1 აგუდა (71), 3:1 გიგაქსი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თუნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| იანგ ბოისი | 2 | 1 | 1 | 0 | 9:4 | 4 |
| ციურიხი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ქსამაქსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სენტ გალენი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| შაფჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |
| აარაუ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| სერვეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -2 |

*„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

## შვედეთი

### ალსვენსკა. XIII ტური

**ჰალმსტადი 2:1 ჰამარბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 13 | 8 | 3 | 2 | 29:16 | 27 |
| მალმიო | 13 | 7 | 5 | 1 | 20:6 | 26 |
| ჰამარბი | 13 | 8 | 2 | 3 | 16:9 | 26 |
| კალმარი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:12 | 20 |
| გიოტებორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:10 | 19 |
| სუნდსვალი | 13 | 4 | 6 | 3 | 14:13 | 18 |
| იურგორდენი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:21 | 16 |
| ელფსბორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 9:15 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 23:18 | 14 |
| იორგრიტე | 13 | 2 | 7 | 4 | 13:17 | 13 |
| აიკ | 13 | 3 | 4 | 6 | 9:15 | 13 |
| იორებრო | 13 | 3 | 4 | 6 | 16:29 | 13 |
| ლანდსკრონა | 13 | 2 | 6 | 5 | 13:17 | 12 |
| ტრელებორგი | 13 | 2 | 3 | 8 | 8:20 | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ესპანური** „ბეტისი“ „ვალენსიას“ ბრაზილიელ ლეგიონერ რიკარდო ოლივეირასთან ხუთწლიან კონტრაქტს მალე გააფორმებს. 24 წლის ფორვარდი გასულ წელს „მესტალიაზე“ „სანტოსიდან“ გადაბარგდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო. ახლა კი მარკო დი ვაიოსა და ბერნარდო კორადის მისვლის შემდეგ, მისი შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა.

**ინგლისური** პრემიერლიგიდან გავარდნილი „ვულვერჰემპტონის“ სენეგალელი თავდამსხმელი ანრი კამარა ორი კვირის ხელფასით დააჯარიმეს. კამარამ გასული სეზონის ბოლოს კლუბის უფროსობას სხვა გუნდში გადასვლის ნებართვა სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. შემდეგ შვებულებაში გაემგზავრა, თვითნებურად გამოტოვა „მგლების“ შეკრება ნორვეგიაში და უკან ცუდ სათამაშო ფორმაში მყოფი დაბრუნდა. „ეს კონტრაქტის სერიოზულად დარღვევა, ანრიც მაქსიმალური თანხით დავაჯარიმეთ“ — თქვა „ვულვზის“ გენმდივანმა რიჩარდ სკაროუმ.

**ჩეხმა** ფორვარდმა მილან ბაროშმა აღიარა, რომ ამ ზაფხულს „ლივერპულის“ დატოვება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ „ენფილდ როუდზე“ რაფაელ ბენიტესის მისვლამ აზრი შეაცვლევინა. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს მერსისაიდელთა ყოფილი თავკაცი ჟერარ ულიე მაინცდამაინც ხშირად არ ენდობოდა. ახლა კი ბაროშს ბენიტესის იმედი აქვს და ფიქრობს, რომ ძირითადში მუდმივად ითამაშებს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ 29 წლის ნახევარმცველი ნიკი ბათი „ნიუკასლში“ გადავიდა. ფეხბურთელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და პირადი კონტრაქტის პირობებიც შეათანხმა „კაჭკაჭებთან“. „იუნაიტედი“ ახლა აშშ-ში ტურნეზე იმყოფება და ცხადია, ბათი თან არ ახლავს.

**სენეგალელი** ნახევარმცველი პაპე ბუბა დიოპი ინგლისურ „ფულემში“ გადავიდა. ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების დეტალები ჯერ არ გახმაურებულა. აფრიკელი დიოპი „ფულემს“ ფრანგული „ლანსიდან“ შეუერთდა.

**რუსულმა** „სპარტაკმა“ კიდევ ერთი ფეხბურთელი გადაიბირა — მოსკოველთა მორიგი შენაძენი „სატურნის“ ფორვარდი ნიკიტა ბაკენოვია. ეს უკანასკნელი მიმდინარე ჩემპიონატში კარგად თამაშობს. შესაძლოა, „სპარტაკის“ ახალწვეული უკვე მომავალ მატჩშივე გავიდეს მინდორზე.

**ინგლისურ** „ასტონ ვილას“ საუკეთესო თავდამსხმელი დაემტვრა. 23 წლის კოლუმბიელი ხუან პაბლო ანხელი ვარჯიშზე დაშავდა. გუნდის ექიმები მწვრთნელ დევიდ ოლირის საიმედოს ვერაფერს ეუბნებიან, ამიტომაც ირლანდიელმა სპეციალისტმა დასკვნა თავად გამოიტანა, ანხელი პრემიერლიგის საწყის ტურებს გამოტოვებსო. .

**იტალიური** „პარმას“ ახალი მწვრთნელი სილვიო ბალდინი დარწმუნებულია, რომ გუნდის ახალგაზრდა ვარსკვლავი ალბერტო ჯილარდინო „ენიო ტარდინის“ არ დატოვებს და მომავალ სეზონშიაც ყვითელ-ლურჯი მაისურით ითამაშებს. მოგეხსენებათ, ჯილარდინოს გადაბირება „იუვენტუსს“, „რომას“ და მადრიდის „რეალს“ სწადიათ, თუმც ჯერ ვერ ხეირობენ. ჯილარდინოს ახლა ერთადერთი საზრუნავი აქვს: ათენის ოლიმპიადაზე იტალიის ოლიმპიური ნაკრები ჩემპიონი გახადოს.

**ინგლისურ** „ევერტონს“ „რომას“ მცველის, კრისტიან პანუჩის გადაბირება სურს, მაგრამ საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამთავითვე ეჭვობენ, ეგ ტრანსფერი არ გამოვაო. მიზეზად „ევერტონის“ უფულობას ასახელებენ, უფრო ზუსტად კი ფეხბურთელის ხელფასს, რამდენსაც პანუჩი „რომაში“ იღებს, იმდენს ლივერპულული კლუბი ნაღდად ვერ გადაუხდისო.

**იტალიური** „მილანის“ ბრაზილიელმა მცველმა მარკოს კაფუმ „როსონერისთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა. 32 წლის ფეხბურთელი იტალიის ჩემპიონებთან 2006 წლის ივნისამდე ითანამშრომლებს.

**საფრანგეთის** ეროვნული გუნდი კიდევ ერთმა ვეტერანმა ფეხბურთელმა დატოვა — ტურინის „იუვენტუსის“ მცველმა ლილიან ტურამმა. ტურამს ნაკრებიდან წასვლის მიზეზი არ დაუკონკრეტებია, თუმც თქვა, ახლა კონცენტრირებული მხოლოდ ჩემს კლუბზე ვიქნებიო. 32 წლის ფეხბურთელი „ლურჯებთან“ ერთად 1998 წელს მსოფლიოს, 2000-ში კი ევროპის ჩემპიონი გახდა. მან ნაკრების კვართი 103 მატჩში მოირგო და 2 გოლი გაიტანა. ლილიან ტურამი მარსელ დესაის კვალს გაჰყვა.

**იტალიურმა** „კალიარიმ“ და მისმა ქომაგმა შვებით ამოისუნთქა, გუნდის ლიდერმა ჯანფრანკო ძოლამ სარდინიაზე დარჩენა გადაწყვიტა და გუშინ 38 წლის ფეხბურთელმა კლუბს კიდევ ერთწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი. სხვა დეტალებზე ჯერ არაფერია ცნობილი.

# ინგლისური ტრანსფერები 2004-2005

## არსენალი

**მოვიდნენ)**
ლუპოლი (პარმა, იტალია)
ვან პერსი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
ალმუნია (ალბასეტე, ესპანეთი)
ფლამინი (მარსელი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
შილსი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)
პარლოუ (მილდსბრო)
ბენტლი (ნორვიჩი)
სტაკი (მილუოლი)
ბაილი (ჩესტერფილდი)
ჩილვერსი (კოლჩესტერი)
ჰოლოვეი (ფარნბორო)
პრობეტსი (როჩდეილი)
კიოუნი (ლესტერი)
ნიკოლაუ (საუთენდი)
სტეპანოვსი (გრასჰოპერი, შვეიცარია)
ტავლარიდისი (ლილი, საფრანგეთი)
ბრედლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნ. კანუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პაულინიუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შააბანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვილტორდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩელსი

**მოვიდნენ**
ჩეხი (რენი, საფრანგეთი)
კეჟმანი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
პ. ფერეირა (პორტუ, პორტუგალია)
რობენი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
დროგბა (მარსელი, საფრანგეთი)
ტიაგუ მენდეში (ბენფიკა, პორტუგალია)
რ. კარვალიუ (პორტუ, პორტუგალია)
სმერტინი (პორტსმუთი)

**წავიდნენ**
ხ. ვერონი (ინტერი, იტალია)
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)
მელხიოტი (ბირმინგემი)
ფორსელი (ბირმინგემი)
კრესპო (მილანი, იტალია)
გრონკიაერი (ბირმინგემი)
ჯ. კოული (ასტონ ვილა)
დესაი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბოგარდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბუსუფა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დ. ჯეფერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კიტამირიკე (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მანჩესტერი

**მოვიდნენ**
ა. სმიტი (ლიდსი)
ჰაინცე (პსჟ, საფრანგეთი)
ლ. მილერი (სელტიკი, შოტლანდია)
პიკე (ბარსელონა, ესპანეთი)
ჯუზეპე როსი (პარმა, იტალია)

**წავიდნენ**
პაფი (ლიდსი)
ლინჩი (სანდერლენდი)
ნარდიელო (ბარნსლი)
ბ. უილიამსი (ქრიუ)
ვუდი (ქოვენთრი)
ჯოუსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნიუკასლი

**მოვიდნენ**
მილნერი (ლიდსი)
კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი)

**წავიდნენ**
გრიფინი (პორტსმუთი)
ს. კოლდუელი (სანდერლენდი)
მაკონგო (ტრანმერი)
კერი (მოზერუელი, შოტლანდია)
ორი (ბრისტოლ სიტი)
სპიდი (ბოლტონი)
ლუა ლუა (პორტსმუთი)
ფერელი (უოტფორდი)
უგო ვიანა (სპორტინგი, პორტუგალია)

## ლივერპული

**მოვიდნენ**
ჯ. სისე (ოსერი, საფრანგეთი)
ხოსემი (მალაგა, ესპანეთი)

**წავიდნენ**
ჰესკი (ბირმინგემი)
შეირუ (მარსელი, საფრანგეთი)
ს. გილესპი (ბრისტოლ სიტი)
ვუგანი (ჩესტერი)
ბაბელი (შტუტგარტი, გერმანია)
ფოლეი-შერიდანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## კრისტალ პალასი

**მოვიდნენ**
ჰადსონი (ფულემი)
სპერონი (დანდი, შოტლანდია)
ბოისი (ლუტონი)
კოლკა (მიონხენგლადბახი, გერმანია)

**წავიდნენ**
ჯ. გრეი (ბირმინგემი)
ფლემინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯეიმი სმიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



„მიდლსბროს“ ახალი შემტევები: ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და მარკ ვიდუკა

## ბოლტონი

**მოვიდნენ**
ბრიჯისი (ლიდსი)
ლ. ფერდინანდი (ლესტერი)
ჯაიდი (ესპერანსი, ტუნისი)
სპიდი (ნიუკასლი)
იერო (ალ რაიანი, ყატარი)
ბენ ჰაიმი (მაკაბი, თელავივი, ისრაელი)

**წავიდნენ**
ფრანდსენი (უიგანი)
ჯეფ სმიტი (პორტ ვეილი)
ჩარლტონი (ნორვიჩი)
ი. ბა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფორშელე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰაუი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლორდ-კანგანა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ბირმინგემი

**მოვიდნენ**
ჰესკი (ლივერპული)
იზეტი (ლესტერი)
ჯ. გრეი (კრისტალ პალასი)
მელხიოტი (ჩელსი)
ფორსელი (ჩელსი)
გრონკიაერი (ჩელსი)

**წავიდნენ**
პარსი (ვესტ ბრომვიჩი)
ტ. უილიამსი (ბარნსლი)
ბ. ჰიუზი (ჩარლტონი)

## მიდლსბრო

**მოვიდნენ**
მენდიეტა (ლაციო, იტალია)
რაიციგერი (ბარსელონა, ესპანეთი)
ვიდუკა (ლიდსი)
ჰასელბაინკი (ჩელსი)
პარლოუ (არსენალი)

**წავიდნენ**
სტოკდეილი (როტერჰემი)
დოვი (რაშდენი)
გულივერი (რაშდენი)
რასელი (დარლინგტონი)
ა. ჯონსტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დევიდ მერფი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. სმიტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ფულემი

**მოვიდნენ**
მაკკინლი (ლესტერი)
ენდი კოული (ბლექბერნი)
კ. იენსენი (ჩარლტონი)
რაძინსკი (ევერტონი)
პ.ბ. დიოპი (ლანსი, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
შ. დევისი (ტოტენჰემი)
ჰეილსი (შეფილდ იუნ.)
ჰარლი (შეფილდ იუნ.)
ჰადსონი (კრისტალ პალასი)
უადუ (რენი, საფრანგეთი)
ფაზაკერლი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტ. დევისი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შტოლცერსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბიზანტი (თამაში მიატოვა)

## ტოტენჰემი

**მოვიდნენ**
შ. დევისი (ფულემი)
პ. რობინსონი (ლიდსი)
ფულოპი (მტკ, უნგრეთი)
პედრუ მენდეში (პორტუ, პორტუგალია)
ლ. მილსი (სუინდონი)
რ. ციგლერი (გრასჰოპერი, შვეიცარია)

**წავიდნენ**
ციგე (მიონხენგლადბახი, გერმანია)
რებროვი (ვესტ ჰემი)
ჯალალი (უოქინგი)
პოსტიგა (პორტუ, პორტუგალია)
ანდერტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოიეტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფოსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰირშფილდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჩარლტონი

**მოვიდნენ**
ბ. ჰიუზი (ბირმინგემი)
ს. ანდერსონი (აკადემისკი, დანია)
რომედალი (პსვ ეინდჰოენი, ჰოლანდია)
ელ კარკური (პსჟ, საფრანგეთი)

**წავიდნენ**
დე ბოლა (ჩესტერფილდი)
კ. იენსენი (ფულემი)
ს. ჰიუზი (ქოვენთრი)
ა. დინი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რუფუსი (თამაში მიატოვა)
როუეტი (თამაში მიატოვა)

## ბლექბერნი

**მოვიდნენ**
დიკოვი (ლესტერი)
დ. მატეო (ლიდსი)
დე პედრო (სოსიედადი, ესპანეთი)

**წავიდნენ**
ენდი კოული (ფულემი)
კამინგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაკკეი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. ნელსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რენტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ტეილორი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## საუთჰემპტონი

**მოვიდნენ**
კრუჩი (ასტონ ვილა)
ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია)
კ. ჯოუნსი (უოტფორდი)
მ. ნილსონი (ჰალმსტადი, შვედეთი)

**წავიდნენ**
ს. ჰანტი (კოლჩესტერი)
უილიამსონი (უიკომბი)
ა. დელგადო (აუკასი, კოლუმბია)
გლისონი (კიდერმინსტერი)
რ. ჯოუნსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ლუკასი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
როჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
გ. უილიამსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ასტონ ვილა

**მოვიდნენ**
მ. ლაურსენი (მილანი, იტალია)
კ. კოული (ჩელსი)

**წავიდნენ**
კრუჩი (საუთჰემპტონი)
ჰინსი (ტემუორთი)
ედვარდსი (ვულვერჰემპტონი)
კ. მარშალი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
დაბლინი (ლესტერი)
რ. იონსენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კორმელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კაჩლული (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკულიონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ევერტონი

**მოვიდნენ**
მ. ბენტი (იფსვიჩი)
ჩეპილი (მილუოლი)

**წავიდნენ**
რაძინსკი (ფულემი)
ალექსანდერსონი (გიოტებორგი, შვედეთი)
ჯ. ჯოუნსი (მაკლსფილდი)
ანსუორთი (პორტსმუთი)
ჟერარი (ნოტინგემი)
სიმონსენი (სტოკი)
ს. ბრაუნი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯერსიდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჯემილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ა. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბ. მუგანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შუმახერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სიმსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მანჩესტერ სიტი

**მოვიდნენ**
ტეტჩერი (ლესტერი)
დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია)
დ. მილსი (ლიდსი)

**წავიდნენ**
ტარნატი (ჰანოვერი, გერმანია)
ტიატო (ლესტერი)
ს. ელიოტი (სანდერლენდი)
ველანი (შეფილდ უენსდი)
ვუოსო (სანტოს ლაგუნა, მექსიკა)
არასონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიკენსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვესტვუდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## პორტსმუთი

**მოვიდნენ**
გრიფინი (ნიუკასლი)
ლუა ლუა (ნიუკასლი)
ანსუორთი (ევერტონი)
ეშდოუნი (რედინგი)

**წავიდნენ**
სმერტინი (ჩელსი)
შერინგემი (ვესტ ჰემი)
ტარდიფი (ოქსფორდი)
ნ. ბარეტი (დანდი, შოტლანდია)
დ. ბარტონი (ბრენტფორდი)
პეტეფერი (საუთენდი)
შერვუდი (ქოვენთრი)
უ. ჰანტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ოლშარი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ნორვიჩი

**მოვიდნენ**
ბენტლი (არსენალი)
საფრი (ქოვენთრი)
პ. გალაჰერი (დანდი იუნ, შოტლანდია)
ჩარლტონი (ბოლტონი)
ჰელვეგი (ინტერი, იტალია)

**წავიდნენ**
რობერტსი (ჯილინგემი)
ისტონი (უიკომბი)
რივერსი (ქრიუ)
დ. სინკლერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კრიჩტონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ვესტ ბრომვიჩი

**მოვიდნენ**
შიმეკა (ლესტერი)
პარსი (ბირმინგემი)
ალბრეხტსენი (აკადემისკი, დანია)
კუშჩიკი (ჰერტა, გერმანია)

**წავიდნენ**
ჯილკრისტი (როტერჰემი)
ფეისი (ჰალი)
მკანდავირე (ჰერეფორდი)
ს. ბრაუნი (კიდერმინსტერი)
კინსელა (უოლსოლი)
ნდური (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სკუბო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვოლმერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)



ფერნანდო იერო ბოლტონელია

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 003 | ვერდერი(მ)-ლიუბეკი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 16.00 | 004 | მიუნსტერი-ფორტუნა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 16.00 | 005 | ვუპერტალი-ზპ.პაული | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 16.00 | 006 | კილი-ჰამბურგი(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 007 | ურდინგენი-პადერბორნი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 008 | ბრაუნშვაიგი-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 15.30 | 009 | ჰერტა(მ)-უნიონი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 16.00 | 010 | ვოლფსბურგი(მ)-არმინია(მ) | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| 16.00 | 011 | კიოლნი(მ)-ოსნაბრიუკი | 3,0 | 3,3 | 2,1 | 1,57 | 1,23 | 1,28 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა. III ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 21.30 | 014 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 21.30 | 015 | შტურმი-ადმირა | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 21.30 | 016 | ბრეგენცი-გრაცერი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 21.30 | 017 | მატერსბურგი-პაშინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 21.30 | 018 | აუსტრია-რაპიდი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| | | დანია. სუპერლიგა. II ტური | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 049 | მიდტიულანდი-ოდენსე | 2,05 | 3,3 | 3,2 | 1,26 | 1,24 | 1,62 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 17.00 | 050 | რანდერსი-ჰერფიოლგე | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 17.00 | 051 | სილკებორგი-ორჰუსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.00 | 052 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| 17.00 | 053 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.35 | 054 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,75 | 3,4 | 4,0 | 1,15 | 1,21 | 1,83 |
| | | შვედეთი. სუპერეტა. XVI ტური | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 079 | გაის-ასირისკა | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 21.00 | 080 | გეფლე-ბოდენსი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 081 | ნორჩიოპინგი-ბრაგე | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 21.00 | 082 | ვესტეროსი-ატვიდაბერგი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.00 | 083 | ფალკენბერგი-ჰეკენი | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,21 | 1,16 | 1,07 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა. XVI ტური | | | | | | |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 20.00 | 096 | ლინი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 20.00 | 097 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 20.00 | 098 | ბოდიო გლიმტი-სოგნდალი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 20.00 | 099 | სტაბეკი-ჰამარი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 20.00 | 100 | ფრედრიკსტადი-მოლდე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.05 | 101 | ვიკინგი-რუსენბორგი | 4,0 | 3,4 | 1,75 | 1,83 | 1,21 | 1,15 |
| | | 2 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 102 | ბრანი-ვოლერენგა | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVII ტური | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 19.00 | 105 | ტამპერე-ჯაზი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 106 | ინტერი-ტპ 47 | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.30 | 107 | მიუპა-იარო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ირლანდია. პრემიერლიგა. XXI ტური | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 22.45 | 116 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 2.8 | 3,1 | 2.3 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | პოლონეთი. I ლიგა. I ტური. | | | | | | |
| | | 30 ივლისი | | | | | | |
| 22.00 | 159 | ზაგლებე-კრაკოვია | 1,95 | 3,2 | 3,3 | 1,21 | 1,22 | 1,62 |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 20.00 | 160 | კატოვიცე-ლეხი | 2,7 | 3,1 | 2,3 | 1,44 | 1,24 | 1,32 |
| 20.00 | 161 | ოდრა-ამიკა | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 20.00 | 162 | პლოცკი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 163 | ვისლა-ლეჩნა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| | | 1 აგვისტო | | | | | | |
| 21.00 | 164 | პოგონი-ლეგია | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |
| | | ბრაზილია. სერია A. XIX ტური. | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 03.30 | 175 | სანტოსი-კურიტიბა | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 03.30 | 176 | სან კაეტანო-ინტერნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 03.30 | 177 | ვასკუ და გამა-გოიასი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 03.30 | 178 | ატლეტიკო მნ-პარანა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | შოტლანდია. ლიგის თასი. I ეტაპი | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 18.00 | 212 | ერდრი-ქუინი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 213 | ალოა-ელგინი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 18.00 | 214 | არბროთი-პიტერჰედი | 2,15 | 3,4 | 2,8 | 1,31 | 1,21 | 1,53 |
| 18.00 | 215 | ეარი-ფოლკირკი | 3,2 | 3,5 | 1,9 | 1,67 | 1,19 | 1,23 |
| 18.00 | 216 | დამბარტონი-სტირლინგი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 18.00 | 217 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 1,9 | 3,5 | 3,2 | 1,23 | 1,19 | 1,67 |
| 18.00 | 218 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 7,0 | 5,0 | 1,25 | 2,91 | 1,06 | 1 |
| 18.00 | 219 | ფორფარი-მორტონი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,19 | 1,31 |
| 18.00 | 220 | გრეტნა-მონტროუზი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| 18.00 | 221 | პარტიკი-ბრეჩინი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 222 | ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 223 | რეითი-ალბიონი | 1,3 | 4,8 | 7,5 | 1,02 | 1,1 | 2,92 |
| 18.00 | 224 | როსი.სტ.მირენი | 2,0 | 3,4 | 3,1 | 1,25 | 1,21 | 1,62 |
| 18.00 | 225 | სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი | 1,6 | 3,6 | 4,6 | 1,1 | 1,18 | 2,01 |
| | | გერმანია. ლიგის თასი. 1/2 ფინალი | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 22.30 | 229 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| | | საფრანგეთი. სუპერ თასი | | | | | | |
| | | 31 ივლისი | | | | | | |
| 22.45 | 231 | ლიონი-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| | | შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 21.00 | 232 | გიოტებორგი-იორებრო | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | უეფას თასი. I შესარჩევი ეტაპი. II მატჩები | | | | | | |
| | | 29 ივლისი | | | | | | |
| 17.00 | 250 | შამქირი-თბილისი | 2,45 | 3,0 | 2,5 | 1,34 | 1,23 | 1,36 |
| 18.00 | 251 | ყარაბახი-ბ.ბისტრიცა | 3,2 | 3,0 | 1,6 | 1,54 | 1,06 | 1,04 |
| 18.30 | 252 | სოლიგორსკი-ნისტრუ | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 253 | ბანანცი-ილიჩოვეცი | 2,9 | 3,0 | 2,15 | 1,47 | 1,23 | 1,25 |
| 19.00 | 254 | ტალინი-კრანესი | 2,2 | 3,1 | 2,9 | 1,28 | 1,25 | 1,49 |
| 19.00 | 255 | ვენტსპილსი-ბ 68 | 1,07 | 4,0 | 9,0 | 1 | 1 | 2,76 |
| 20.00 | 256 | ქალგირისი-პორტადაუნი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| 20.00 | 257 | ალიანსი-გლენტორანი | 1,3 | 4,2 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,69 |
| 20.00 | 258 | დინამო(თბ)-ბატე | 1,6 | 3,2 | 3,8 | 1,06 | 1,12 | 1,73 |
| 20.00 | 259 | ეტცელა-ჰაკა | 5,3 | 3,8 | 1,45 | 2,21 | 1,13 | 1,04 |
| 20.00 | 260 | დუდელანჟი-ეკრანასი | 4,2 | 3,3 | 1,7 | 1,84 | 1,21 | 1,12 |
| 20.00 | 261 | ქელეზნიჩარი-პენიაროლსა | 1,01 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 262 | მოდრიცა-სტ.კოლომბა | 1,02 | 5,0 | 10,0 | 1 | 1 | 3,33 |
| 21.00 | 263 | მეტალურგსი-ბ 36 | 1,05 | 4,6 | 9,0 | 1 | 1 | 3,04 |
| 21.00 | 264 | დინამო(ტირ)-ოცელული | | | | | | |
| 21.00 | 265 | ტირასპოლი-შირაკი | 1,4 | 3,6 | 5,6 | 1 | 1,12 | 2,19 |
| 21.00 | 266 | პრიმორიე-მარსაქსლოკი | 1,05 | 4,6 | 9,0 | 1 | 1 | 3,04 |
| 22.00 | 267 | ბირკირკარა-პარტიზანი(ტირ) | 2,0 | 3,0 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 22.00 | 268 | ლონგფორდი-ვადუცი | 2,05 | 3,2 | 3,1 | 1,24 | 1,23 | 1,57 |
| 22.00 | 269 | მარიბორი-სილეკსი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 22.00 | 270 | სლოგა-ომონია | 2,2 | 3,0 | 2,0 | 1,26 | 1,04 | 1,2 |
| 22.00 | 271 | ჰონვედი-აშტარაკი | 1,2 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,04 | 2,66 |
| 22.30 | 272 | ტნს-იოსტერსი | 2,9 | 3,2 | 2,15 | 1,52 | 1,23 | 1,28 |
| 23.15 | 273 | ჰაფნარფიორდური-ჰავერფორდვესტი | 1,35 | 4,0 | 7,0 | 1 | 1,13 | 2,54 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო

ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%


# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხავიერ პორტილიოს მისამართი შეუცვალეს
## რომის ნაცვლად ფლორენციაში გაუშვეს




რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, მადრიდის „რეალმა“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ხავიერ პორტილიო ერთი წლით რომის „ლაციოში“ გაანათხოვრაო.

იქვე, მადრიდელთა მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს პორტილიოსადმი ნათქვამიც გაცნობეთ — ფერნანდო მორიენტესი გუნდში დარჩება და ძირითადში შენს ადგილს ვერ ვხედავო.

როგორც ჩანს, „რეალის“ უფროსობას თავად არ ჰქონია გადაწყვეტილი, რას უპირებდა თავის ყმაწვილ ფორვარდს.

საქმე ისაა, რომ ესპანური პრესის მტკიცებით, თურმე, ხავიერ პორტილიო „ლაციოში“ კი არა, სერია A-ში დაბრუნებულ „ფიორენტინაში“ გადაბარგებულა. ესპანელი ფლორენციულ კლუბში 2005 წლის 30 ივნისამდე იჯარის წესით იბურთავებს.

ერთი სიტყვით, ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია, რაც „იების“ პრეზიდენტმა დიეგო დელა ვალემაც დაადასტურა და თავად პორტილიომაც. ამ უკანასკნელის სიტყვები „რეალის“ ვებ-გვერდზეცაა გამოქვეყნებული. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: „მადლობა „რეალს“, ჩინებული ვარიანტი რომ გამომიძებნა და მადლობა „ფიორენტინას“, რომელმაც არჩევანი ჩემზე შეაჩერა. იტალიელებს ჩემი სჯერათ. სერია A-ში თამაში, თუნდაც ერთი წლით, ცხადია, გამოცდილებას შემმატებს. იმ გამოცდილებას, რომელიც „რეალის“ ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად დამეხმარება“.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ხავიერ პორტილიო „ფიორენტინასთვის“ წლეულს უკვე მეექვსე შენაძენია, დარიო დაინელის, კრის ობოდოს, კრისტიანო ლუპატელის, ჯანი გიგუსა და ჰიდეტოში ნაკატას შემდეგ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ყველაფერი იოლია, პირველი პუიოლია



დიდრონ ევროკლუბებს სეზონისწინა სამზადისში შორეულ აღმოსავლეთში სტუმრობა მხოლოდ ჰაერის გამოცვლის და ბუდისტური ტაძრების დათვალიერების გამო როდი უყვართ. ჩინეთში, კორეასა და იაპონიაში ჩასვლით რამდენიმე ზედმეტი მილიონის შოვნა შეიძლება.

„რეალს“ იაპონია უყვარს, „ბარსელონა“ კი სამხრეთ კორეას ჩასულა და 2004-05 წლების სეზონს წყნარი ოკეანიდან მონაბერი მლაშე სიოთი გაკაჟებული და აღმოსავლურ სიბრძნე-სიტკბოთა შემეცნებული შეხვდება. სეულის სასტუმროში ყოფნისას გუნდში ერთი შიდაოჯახური საკითხიც მოგვარებულა. მადიანი საუზმის შემდეგ მოთამაშეები ოთახში შეიკეტნენ და საიდუმლო თათბირი გამართეს. იქიდან გამოსულებმა კი კლუბის უფროსობას ახალი კაპიტანი, უფრო ზუსტად კი კაპიტნები წარუდგინეს. მოთამაშეთა კეთილი ნებით და სურვილით „ბარსას“ მოედანზე კარლეს პუიოლი გაიყვანს, გუნდის მეორე და მესამე კაპიტნებად კი რონალდინიო და ხავი მოინათლნენ.

„ბარსას“ ახალი კაპიტანი არ ცდილობდა აღფრთოვანების დამალვას — „ჩემთვის, როგორც კატალონიელისთვის და „ბარსას“ ფანისთვის, უდიდესი პატივია ამ გუნდის კაპიტნად არჩევა — ამბობს პუიოლი — ხოლო, როგორც მოთამაშისთვის, რომელმაც გაიარა „ბარსას“ საფეხბურთო სკოლის საფეხურები და მოხვდა დიდ გუნდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნდობის გამოცხადების ფაქტი“.

პუიოლმა არც თანაკაპიტნები დაივიწყა, ჩვენ ყველანი ერთად ვეცდებით, გუნდი წინ წავწიოთო.

„ბარსას“ შემდეგი გაჩერება ქალაქი სუვონია, სადაც იქაურ გუნდ „სუვონ სამსუნგ ბლუვინგზს“ დღეს ამხანაგურად ეთამაშება.

**კოტე ყორშია**

# შოტლანდია. პრემიერლიგა 2004-2005



„რეინჯერს“—„სელტიკის“ პირველი ჯახი 28 აგვისტოსაა

## 2004 წელი

### I-ლი ტური: 7 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | რეინჯერსი |
| სელტიკი | : | მოზერუელი |
| დანდი | : | ჰართსი |
| დანფერმლაინი | : | დანდი იუნ. |
| ჰიბერნიანი | : | კილმარნოკი |
| ლივინგსტონი | : | ინვერნესი |

### მე-2 ტური: 14 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | დანდი |
| ჰართსი | : | აბერდინი |
| კილმარნოკი | : | სელტიკი |
| მოზერუელი | : | ჰიბერნიანი |
| რეინჯერსი | : | ლივინგსტონი |
| ინვერნესი | : | დანფერმლაინი |

### მე-3 ტური: 21 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| დანდი | : | მოზერუელი |
| დანფერმლაინი | : | აბერდინი |
| ჰართსი | : | კილმარნოკი |
| ინვერნესი | : | სელტიკი |
| ლივინგსტონი | : | დანდი იუნ. |
| რეინჯერსი | : | ჰიბერნიანი |

### მე-4 ტური: 28 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ლივინგსტონი |
| სელტიკი | : | რეინჯერსი |
| დანდი იუნ. | : | ინვერნესი |
| ჰიბერნიანი | : | დანდი |
| მოზერუელი | : | ჰართსი |
| კილმარნოკი | : | დანფერმლაინი |

### მე-5 ტური: 11 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | დანდი |
| დანდი იუნ. | : | აბერდინი |
| დანფერმლაინი | : | მოზერუელი |
| ჰართსი | : | რეინჯერსი |
| ინვერნესი | : | ჰიბერნიანი |
| ლივინგსტონი | : | კილმარნოკი |

### მე-6 ტური: 18 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| დანდი | : | ლივინგსტონი |
| ჰიბერნიანი | : | სელტიკი |
| კილმარნოკი | : | აბერდინი |
| მოზერუელი | : | დანდი იუნ. |
| რეინჯერსი | : | ინვერნესი |
| დანფერმლაინი | : | ჰართსი |

### მე-7 ტური: 25 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ჰიბერნიანი |
| სელტიკი | : | დანფერმლაინი |
| დანდი | : | რეინჯერსი |
| ჰართსი | : | ინვერნესი |
| კილმარნოკი | : | დანდი იუნ. |
| ლივინგსტონი | : | მოზერუელი |

### მე-8 ტური: 2 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | დანდი |
| დანდი იუნ. | : | სელტიკი |
| დანფერმლაინი | : | ჰიბერნიანი |
| ინვერნესი | : | მოზერუელი |
| რეინჯერსი | : | კილმარნოკი |
| ჰართსი | : | ლივინგსტონი |

### მე-9 ტური: 16 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | ჰართსი |
| დანდი | : | კილმარნოკი |
| ჰიბერნიანი | : | დანდი იუნ. |
| ინვერნესი | : | აბერდინი |
| ლივინგსტონი | : | დანფერმლაინი |
| მოზერუელი | : | რეინჯერსი |

### მე-10 ტური: 23 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | მოზერუელი |
| დანდი | : | დანფერმლაინი |
| ჰართსი | : | ჰიბერნიანი |
| კილმარნოკი | : | ინვერნესი |
| ლივინგსტონი | : | სელტიკი |
| რეინჯერსი | : | დანდი იუნ. |

### მე-11 ტური: 27 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | ჰართსი |
| სელტიკი | : | აბერდინი |
| დანფერმლაინი | : | რეინჯერსი |
| ჰიბერნიანი | : | ლივინგსტონი |
| ინვერნესი | : | დანდი |
| მოზერუელი | : | კილმარნოკი |

### მე-12 ტური: 30 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | დანფერმლაინი |
| ჰართსი | : | დანდი |
| ინვერნესი | : | ლივინგსტონი |
| კილმარნოკი | : | ჰიბერნიანი |
| მოზერუელი | : | სელტიკი |
| რეინჯერსი | : | აბერდინი |

### მე-13 ტური: 6 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ჰართსი |
| სელტიკი | : | კილმარნოკი |
| დანდი | : | დანდი იუნ. |
| დანფერმლაინი | : | ინვერნესი |
| ჰიბერნიანი | : | მოზერუელი |
| ლივინგსტონი | : | რეინჯერსი |

### მე-14 ტური: 13 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | დანფერმლაინი |
| სელტიკი | : | ინვერნესი |
| დანდი იუნ. | : | ლივინგსტონი |
| ჰიბერნიანი | : | რეინჯერსი |
| კილმარნოკი | : | ჰართსი |
| მოზერუელი | : | დანდი |

### მე-15 ტური: 20 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| დანდი | : | ჰიბერნიანი |
| დანფერმლაინი | : | კილმარნოკი |
| ჰართსი | : | მოზერუელი |
| ინვერნესი | : | დანდი იუნ. |
| ლივინგსტონი | : | აბერდინი |
| რეინჯერსი | : | სელტიკი |

### მე-16 ტური: 27 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | დანდი იუნ. |
| დანდი | : | სელტიკი |
| ჰიბერნიანი | : | ინვერნესი |
| კილმარნოკი | : | ლივინგსტონი |
| მოზერუელი | : | დანფერმლაინი |
| რეინჯერსი | : | ჰართსი |

### მე-17 ტური: 4 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | კილმარნოკი |
| სელტიკი | : | ჰიბერნიანი |
| დანდი იუნ. | : | მოზერუელი |
| ჰართსი | : | დანფერმლაინი |
| ინვერნესი | : | რეინჯერსი |
| ლივინგსტონი | : | დანდი |

### მე-18 ტური: 11 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | კილმარნოკი |
| დანფერმლაინი | : | სელტიკი |
| ჰიბერნიანი | : | აბერდინი |
| ინვერნესი | : | ჰართსი |
| მოზერუელი | : | ლივინგსტონი |
| რეინჯერსი | : | დანდი |

### მე-19 ტური: 18 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | დანდი იუნ. |
| დანდი | : | აბერდინი |
| ჰიბერნიანი | : | დანფერმლაინი |
| კილმარნოკი | : | რეინჯერსი |
| ლივინგსტონი | : | ჰართსი |
| მოზერუელი | : | ინვერნესი |

### მე-20 ტური: 27 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ინვერნესი |
| დანდი იუნ. | : | ჰიბერნიანი |
| დანფერმლაინი | : | ლივინგსტონი |
| ჰართსი | : | სელტიკი |
| კილმარნოკი | : | დანდი |
| რეინჯერსი | : | მოზერუელი |

## 2005 წელი

### 21-ე ტური: 1 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | ლივინგსტონი |
| დანდი იუნ. | : | რეინჯერსი |
| დანფერმლაინი | : | დანდი |
| ჰიბერნიანი | : | ჰართსი |
| ინვერნესი | : | კილმარნოკი |
| მოზერუელი | : | აბერდინი |

### 22-ე ტური: 15 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | სელტიკი |
| დანდი | : | ინვერნესი |
| ჰართსი | : | დანდი იუნ. |
| კილმარნოკი | : | მოზერუელი |
| ლივინგსტონი | : | ჰიბერნიანი |
| რეინჯერსი | : | დანფერმლაინი |

### 23-ე ტური: 22 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | რეინჯერსი |
| სელტიკი | : | მოზერუელი |
| დანდი | : | ჰართსი |
| დანფერმლაინი | : | დანდი იუნ. |
| ჰიბერნიანი | : | კილმარნოკი |
| ლივინგსტონი | : | ინვერნესი |

### 24-ე ტური: 29 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | დანდი |
| ჰართსი | : | აბერდინი |
| ინვერნესი | : | დანფერმლაინი |
| კილმარნოკი | : | სელტიკი |
| მოზერუელი | : | ჰიბერნიანი |
| რეინჯერსი | : | ლივინგსტონი |

### 25-ე ტური: 12 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| დანდი | : | მოზერუელი |
| დანფერმლაინი | : | აბერდინი |
| ჰართსი | : | კილმარნოკი |
| ინვერნესი | : | სელტიკი |
| ლივინგსტონი | : | დანდი იუნ. |
| რეინჯერსი | : | ჰიბერნიანი |

### 26-ე ტური: 19 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ლივინგსტონი |
| სელტიკი | : | რეინჯერსი |
| დანდი იუნ. | : | ინვერნესი |
| ჰიბერნიანი | : | დანდი |
| კილმარნოკი | : | დანფერმლაინი |
| მოზერუელი | : | ჰართსი |

### 27-ე ტური: 2 მარტი

| | | |
|---|---|---|
| დანდი იუნ. | : | აბერდინი |
| სელტიკი | : | დანდი |
| დანფერმლაინი | : | მოზერუელი |
| ჰართსი | : | რეინჯერსი |
| ინვერნესი | : | ჰიბერნიანი |
| ლივინგსტონი | : | კილმარნოკი |

### 28-ე ტური: 5 მარტი

| | | |
|---|---|---|
| დანდი | : | ლივინგსტონი |
| დანფერმლაინი | : | ჰართსი |
| ჰიბერნიანი | : | სელტიკი |
| კილმარნოკი | : | აბერდინი |
| მოზერუელი | : | დანდი იუნ. |
| რეინჯერსი | : | ინვერნესი |

### 29-ე ტური: 12 მარტი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | ჰიბერნიანი |
| სელტიკი | : | დანფერმლაინი |
| დანდი | : | რეინჯერსი |
| ჰართსი | : | ინვერნესი |
| კილმარნოკი | : | დანდი იუნ. |
| ლივინგსტონი | : | მოზერუელი |

### 30-ე ტური: 19 მარტი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | დანდი |
| დანდი იუნ. | : | სელტიკი |
| დანფერმლაინი | : | ჰიბერნიანი |
| ჰართსი | : | ლივინგსტონი |
| ინვერნესი | : | მოზერუელი |
| რეინჯერსი | : | კილმარნოკი |

### 31-ე ტური: 2 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | ჰართსი |
| დანდი | : | კილმარნოკი |
| ჰიბერნიანი | : | დანდი იუნ. |
| ინვერნესი | : | აბერდინი |
| ლივინგსტონი | : | დანფერმლაინი |
| მოზერუელი | : | რეინჯერსი |

### 32-ე ტური: 9 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი | : | მოზერუელი |
| დანდი | : | დანფერმლაინი |
| ჰართსი | : | ჰიბერნიანი |
| კილმარნოკი | : | ინვერნესი |
| ლივინგსტონი | : | სელტიკი |
| რეინჯერსი | : | დანდი იუნ. |

### 33-ე ტური: 16 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი | : | აბერდინი |
| დანდი იუნ. | : | ჰართსი |
| დანფერმლაინი | : | რეინჯერსი |
| ჰიბერნიანი | : | ლივინგსტონი |
| ინვერნესი | : | დანდი |
| მოზერუელი | : | კილმარნოკი |

*ბოლო 5 ტურის კალენდარი ზე და ქვექვსეულების გარკვევის შემდეგ გამოქვეყნდება*

# ბრაიკოვიჩს გაუგრძელეს

## ფედერაციამ მიზანში ფინალი ამოიღო



*კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები სან ჯორჯოში მოპოვებული ორი გამარჯვებით იმდენად კმაყოფილები არიან, რომ ნაკრების თავკაც დრაჟენ ბრაიკოვიჩს კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს. ხორვატს ამჟამინდელი კონტრაქტი 2005 წლის სექტემბრამდე ანუ ევროსაკვალიფიკაციოს დასრულებამდე აქვს, ხოლო ფედერაციის ახალი ხელშეკრულების ძალით ბრაიკოვიჩი ეროვნული გუნდის სათავეში 2007 წლის ზაფხულამდე დარჩება. მოგეხსენებათ, 2007 წლის ზაფხულში ევროპის ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, რომელზეც, თუ ყველა ბარიერი წარმატებით დაძლია, საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. გამოდის, ფედერაციის ხელმძღვანელობას ეჭვი აღარ ეპარება, რომ ამ საკვალიფიკაციოსაც გაივლის, შემდეგ შესარჩევსაც და ევროჩემპიონატის ფინალში გავა. სწორედ ამ პათოსით დაიწყო გუშინდელი პრესკონფერენცია კაფე „მსოფლიო სპორტში" ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ...*



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიაში ნაყოხალევი ჭაბუკები ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე, შიო ხეცურიანი და მანუჩარ მარკოიშვილი მომავლის იმედს გვაძლევენ

— ხანგრძლივი შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრები იტალიაში შეიკრიბა და საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან შეძლო თავისი პოტენციალის გამოვლენა. სან ჯორჯოში მოპოვებული გამარჯვებები იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ საქართველომ შესუსტებული შემადგენლობით ითამაშა, ხოლო ზოგიერთი მოთამაშე სრულ მზადყოფნაში არ იმყოფებოდა. ჩვენს ასეთ თამაშს ბევრი არ ელოდა. იტალიაში ჩასულებმა მხოლოდ ორჯერ ვივარჯიშეთ და მწვრთნელსაც დრო არ ჰქონდა ტაქტიკური სქემების დასახვეწად. ყველაფრის მიუხედავად, მაინც მოვახერხეთ პრინციპული მეტოქის, რუსეთის დამარცხება და საკმაოდ ძლიერ შვედებსაც არაფერი დავუთმეთ. ყველაფერი ეს დიდ იმედს იძლევა, რომ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავალთ და კარგ შედეგსაც მივაღწევთ...

კარგი იქნებოდა, ბრაიკოვიჩიც აქ ყოფილიყო, მაგრამ ის ახლა სამშობლოშია და საქართველოში აგვისტოს დასაწყისში ჩამოვა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ბრაიკოვიჩს კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივოს და 2005 წლის ნაცვლად ის 2007 წლამდე დარჩეს ეროვნული გუნდის სათავეში. ეს გადაწყვეტილება ბრაიკოვიჩს უკვე შევატყობინეთ და საქართველოში რომ ჩამოვა, ახალ კონტრაქტსაც ალბათ მაშინ გავაფორმებთ.

***მწვრთნელი არ იყო და შემადგენლობასთან დაკავშირებულ კითხვებსაც ლაშა ძიძავამ უპასუხა:***

— ვლადიმერ სტეფანიას ტრავმა ახალი მორჩენილი ჰქონდა და დრაჟენ ბრაიკოვიჩთან ლაპარაკის შემდეგ გადაწყვიტა, ამერიკაში დარჩენილიყო. მას პირადი მწვრთნელი ავარჯიშებს სარეაბილიტაციო პერიოდში და ამჯობინეს, იქ დარჩენილიყო, ფორმა სრულად აღედგინა, რათა სექტემბრისთვის მზად იყოს. ნიკა ცქიტიშვილს კი, მოგეხსენებათ, პრობლემები აქვს გუნდში და უნდოდა, საზაფხულო ლიგაში საკუთარი შესაძლებლობები დაემტკიცებინა „დენვერის" ხელმძღვანელობისთვის. ჩვენც ხელი აღარ შევუშალეთ. სექტემბერში ფინეთთან სათამაშოდ ორივე ჩამოვა თბილისში, ამას წყალი აღარ გაუვა...

***შემონდ უილიამსის შესახებ კი, ძიძავამ ეს თქვა:***

— უილიამსს ფეხის ტრავმა ჰქონდა და სრული დატვირთვით არ უთამაშია, თუმც მან ისედაც დაგვანახა, რომ უმაღლესი კლასის გამთამაშებელია და ჩვენს ნაკრებს მომავალში დიდ დახმარებას გაუწევს. საქართველოს ნაკრებში მისი თამაში გადაწყვეტილია. დარჩა მხოლოდ პროცედურული საკითხების მოგვარება, რაც იმისთვისაა საჭირო, რომ ქართული პასპორტი მიიღოს. ამას, მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულება სჭირდება და დღესხვალ ვერ მოხერხდება.

***პრესკონფერენციას ესწრებოდა ეროვნული გუნდის ახალგაზრდული ფრთა — გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი და შიო ხეცურიანი.***

**გიორგი ცინცაძე:**

— შვედებთან 25 ქულა რომ დავაგროვე, ბევრისთვის მოულოდნელი იყო. ეს ალბათ იმის බრალია, რომ მეტოქემ ძირითადი ყურადღება შემონდ უილიამსს, ზაზა ფაჩულიას და ვლადიმერ ბოისას დაუთმო. მე შედარებით თავისუფლად ვგრძნობდი თავს და შანსიც ხელიდან არ გავუშვი, სასროლი ვესროლე და გამიმართლა კიდეც.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

— იტალიურმა შეკრებამ ძალიან დადებითად იმოქმედა. ყველამ დაინახა, რომ ქართველებს არა მხოლოდ კარგი მოთამაშეები, არამედ ძლიერი ნაკრებიც ჰყავს. რა თქმა უნდა, მეწყინა, ტრავმა რომ მივიღე და სან ჯორჯოს ტურნირზე ფაქტობრივად არ მითამაშია. ერთი სული მაქვს, ნაკრების მომდევნო შეკრება დაიწყოს. თან ნბა-ს დანარჩენი მოთამაშეებიც შემოგვიერთდებიან.

**ვიქტორ სანიკიძე:**

— სახელიანი მოთამაშეების წინააღმდეგ მოგვიწია თამაშმა და კარგია, ასე თამამად რომ გავედით მოედანზე. ჩვენი ნაკრების ახალგაზრდა მოთამაშეების ასე უშიშარი და შედეგიანი თამაში დიდ იმედს იძლევა სამომავლოდ.

**შიო ხეცურიანი:**

— საწყის ორ მატჩში არ მითამაშია, მაგრამ ამაზე სულ არ ვფიქრობ. მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა და საქმეს სჭირდებოდა ალბათ. რუსებთან და იტალიასთან ბიჭებს მხურვალედ ვუქომაგე, ხოლო შვედებთან გამარჯვების უშუალო მონაწილე რომ გავხდი, ძალიან მიხარია. დებიუტით კმაყოფილი ვარ და მომავალსაც იმედით ვუყურებ.

**ირაკლი პერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი

# მარკოიშვილს ბოისა შეაპატიჟებს

## მანომ მშვიდი ცხოვრება ირჩია

*მომავალ სეზონში ლიუბლიანის „ოლიმპიაში" ორი ჩვენებური ითამაშებს. ვლადიმერ ბოისას გუნდთან ახლახან მანუჩარ მარკოიშვილმა გააფორმა კონტრაქტი და „მანუს" ლიუბლიანაში უკვე 2 აგვისტოს ელიან. მარკოიშვილი კვლავაც იტალიური „ბენეტონის" საკუთრებაა და მძაფრი კონკურენციის გამო წინა სეზონში გერმანულ „მიტელდოიჩერში" იყო განათხოვრებული. იტალიელებმა, „მანო" სათანადოდ არ მომძლავრებულაო... მანუჩარის მომდევნო სადგურიც „ოლიმპიაა"*



ვლადიმერ ბოისა

— კონტრაქტს იტალიაში მოვაწერე ხელი — სლოვენიელებმა ხელშეკრულება ფაქსით გამომიგზავნეს სან ჯორჯოში, ასე რომ, უკვე ოლიმპიელი ვარ და ლიუბლიანაში წასასვლელად ვემზადები.

**— რატომ მაინცდამაინც „ოლიმპია"?**

— ალბათ იმიტომ, რომ ამ გუნდის კაპიტანი ვლადიმერ ბოისაა, რომელიც ძალიან დამეხმარება. თანაც „ოლიმპია" საკმაოდ სოლიდური გუნდია, სლოვენიის ჩემპიონია და ევროლიგაშიც თამაშობს.

**— სხვა რა ვარიანტები გქონდა?**

— იყო ორი იტალიური, ორი ფრანგული და ერთი გერმანული გუნდი. იტალიური და გერმანული ვარიანტები გუნდების სისუსტის გამო თავიდანვე გამოვრიცხე, თუმც ფრანგულ კლუბებს საბოლოოდ „ოლიმპია" ვამჯობინე.

**— რომელი ფრანგული გუნდები გეპატიჟებოდნენ?**

— ევროლიგის მონაწილე „ვილერბანი" და ფიბა-ევროპის თასზე მოთამაშე პარიზის „რასინგი". განსაკუთრებით პარიზულ გუნდს აქებდნენ. ეს კლუბი სატრანსფერო სააგენტო „ენტერსპორტმა" შეიძინა და ამ გუნდის თანამფლობელი თავად ტონი პარკერი გახდა, რომელიც თავის დროზე სწორედ „რასინგიდან" წავიდა „სან ანტონიოში". მაგრამ მე მაინც სლოვენია და მშვიდი ცხოვრება ვარჩიე, ბოისას ფაქტორს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

**— „ოლიმპიური" ვარიანტი თავად „ბენეტონმა" მოგინახა?**

— არა, ეს მთლიანად ჩემი აგენტის საქმე... ლივან რიდის დამსახურებაა. კონკრეტულად, ვინ ვის დაუკავშირდა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ რიდმა სიტყვა შეასრულა და კარგი გუნდი მომინახა.

**— ახალ გუნდში როდის მიდიხარ?**

— ვიზას მივიღებ და მაშინვე წავალ. „ოლიმპია" 2 აგვისტოსთვის მელის, შეკრება იწყება.

**ირაკლი პერტაია**



იულია დუბინა



მარიამ ქევხიშვილი



დავით ილარიანი

გურამ [illegible] ფოტოები

# ოლიმპიური გუნდი იზრდება

## ილარიანმა კიევში იდავითა

**ათენის** ოლიმპიადაზე მიმავალ ქართველ მძლეოსანთა რიცხვი სამამდე გაიზარდა. ბირთვის მკვრელ მარიამ ქევხიშვილსა და სამმხტომელ იულია დუბინას თარჯმრბენი დავით ილარიანი შეემატა. ილარიანი კიევის საერთაშორისო ტურნირზე უკრაინის ნაკრების წევრებს გაეჯიბრა, თარჯებიანი 110 მეტრი 13,69 წამში დაფარა და პირველობით გაიხარა, თან ოლიმპიური ნორმატივიც (13,72 წამი) შეასრულა.

უკრაინაში მსაჯობაც საერთაშორისო კატეგორიისა იყო და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დაუყოვნებლივ აღიარა ილარიანის ოლიმპიადაზე მოხვედრა. IAAF-ს დასტური უკვე ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტშია. ქევხიშვილისა და დუბინას თაობაზე კი ცნობა რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულა.

უკრაინის ღია პირველობაზე დავითის გარდა იულია დუბინაც გამოვიდა, თუმც მან ამჯერად ნორმატივი ვერ შეასრულა.

„იულია 13,55 მეტრზე გადახტა, მაგრამ ოლიმპიადამდე აუცილებლად მოუმატებს და იმედია, 14 მეტრს დაძლევს. დავითმა კი ფაქტობრივად ბოლო შანსი გამოიყენა — გვითხრა გუშინ კიევიდან დაბრუნებულმა მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ — 31 ივლისამდე კიდევ იყო ერთი სალიცენზიო ტურნირი მინსკში, მაგრამ ორგანიზატორებს ელექტრონიკასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ და ჯერაც არ ვიცი, შეძლებდა თუ არა ილარიანი ნორმატივისთვის ბრძოლას. საბედნიეროდ, საქმე კიევშივე მოკთავრდა."

ტურნირის დასრულების შემდეგ ქართველი მძლეოსნები კიევში დარჩნენ. უკრაინის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტს, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ ვალერი ბორზოვს თამაზ მდინარაძისთვის შეუთავაზებია, დუბინა-ილარიანმა უკრაინის ნაკრებთან ერთად ივარჯიშონონო და აბა, ამაზე უარის თქმა როგორ იქნებოდა. ქართველები უკრაინაში 9 აგვისტომდე დარჩებიან.

რაც შეეხება მარიამ ქევხიშვილს, იგი საათენოდ თბილისში ემზადება პირად მწვრთნელ ყარამან საბანაშვილთან.

**ოთარ ჩალაძე**



# მოკლე ლულას, გრძელი ლულას

**ესპანელი** სპორტსმენების უსაფრთხოებას ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მათივე თანამემამულე 13 პოლიციელიც დაიცავს. ესპანელებმა ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღეს, რაც საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, გამორიცხული არ არის, რომ ოლიმპიური თამაშების დღეებში საერთაშორისო ტერორისტებმა ტერაქტები და სპორტსმენთა გატაცებაც განახორციელონო.

ესპანელი პოლიციელები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის სპორტსმენებს მასპინძელ კოლეგებთან ერთად დაიცავენ, საბერძნეთის ხელისუფალთაგან მიიღებენ ცეცხლსასროლი, მათ შორის, გრძელლულიანი იარაღის ტარების უფლებას.

ოლიმპიურ თამაშებზე ესპანელი პოლიციელები პირველად მიიღებენ მონაწილეობას თავიანთი ქვეყნის სპორტსმენთა დაცვაში. თუმცა ისინი ამგვარ სიტუაციაში უკვე აღმოჩენილან ფეხბურთში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების დღეებში.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# მეტს აღარ ვიზამთ!

**ამ ორი** კვირის წინათ ათენი ელექტროენერგიის გარეშე რომ დარჩა, ქვეყანა ალაპარაკდა. მაშინ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა და ქალაქის ხელისუფლებმა თქვეს ეს არავითარ შემთხვევაში აღარ განმეორდებაო. მაგრამ აი, ორშაბათს ათენის ჩრდილო გარეუბანთან ახლოს, სადაც მთავარი ოლიმპიური სტადიონი და ოლიმპიური სოფელია, კვლავ გამოირთო დენი. როგორც ელექტრომომარაგების მუნიციპალური სამსახურის უფროსობამ განაცხადა, ამის მიზეზი გახდა... ჩიტი, რომელიც რაღაც ჭირად მაღალი ძაბვის სადენებში შეფრენილა, ამას კი საბერძნეთის დედაქალაქის ჩრდილოეთით მდებარე ოთხი რაიონის უელექტროენერგიოდ დარჩენა მოჰყვა.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები და ქალაქის მესვეურები ძველებურად ირწმუნებიან, რომ მასობრივად ელექტროენერგიის გამორთვა არავითარ შემთხვევაში აღარ მოხდება და იგი ხელს არ შეუშლის ოლიმპიური თამაშების ჩატარებასო. ამის იმედს მათ აძლევთ ყველა ოლიმპიურ ბაზაზე შეუფერხებელი ელექტროენერგიით მკვებავი სისტემების მოწყობა.

ასეა თუ ისე, ტერორისტთაგან დაზაფრული ათენელებისთვის ჯერჯერობით უდიდესი ტერორისტი ის უბედური ჩიტია, რომელიც მაღალი ძაბვის სადენებში დანახშირდა.

# ოლიმპიური პრეზერვატივი

**სიდნეის** ოლიმპიურ თამაშებზე ჩასული სპორტსმენები მასპინძლებმა 51-51 პრეზერვატივით აღჭურვეს, მაგრამ მაშინ ეს მეტისმეტად ცოტა აღმოჩნდა და სულ მალე ოლიმპიადის ორგანიზატორებს მისი შეძენა ადგილობრივ მაღაზიებში სირბილით მოუხდათ.

ათენელებმა სიდნეელებისგან გადაიღეს მაგალითი და კომპანია „დურექსისგან" 130 ათასი პრეზერვატივი შეიძინეს სპორტსმენთა მოსამარაგებლად.

როგორც ამ ფირმის პრესატაშე იუწყება, პრეზერვატივების თითოეულ შეფუთვას თან ახლავს სხვადასხვა ენაზე დასტამბული მოხმარების ინსტრუქცია. ფირმის პრესრელიზი იუწყება, ეს ყოველივე საჭიროა ელიტარულ სპორტსმენთა ადუღებული სისხლის დასაშოშმინებლად, როგორც სპორტულ ბაზებზე, ისე პირად ცხოვრებაშიაო.

ამის მერე მოდი და ნუ იფიქრებ, სპორტსმენები ათენში საასპარეზოდ ჩადიან, თუ...



# ქართლ-კახეთი და იმერეთიც დილომში ქართულად იჭიდავეს

**ამ დღეებში** დიღმის საჭიდაო დარბაზმა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. ბოლო ორი თვის განმავლობაში საგარეჯოში, ახმეტაში, ზესტაფონსა და თბილისში ზონალური პირველობები ჩატარდა და თბილისშიც მათზე თავგამოჩენილი მოჭიდავეები შეიყარნენ. ორასამდე მონაწილე რვა წონაში გადანაწილდა და ქართული სანახაობაც გაჩაღდა.

ტურნირის მთავარი მსაჯი თემურ წამალაშვილი იყო, დარბაზში კი ქართული ჭიდაობის ელიტა თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა.

მოლოდინისამებრ, ჩემპიონები ქართლ-კახელი ბიჭები გახდნენ. საპრიზოებში რამდენიმე იმერელიც გამოერია. მძიმე წონის ფინალი კი სულაც იმერული გამოდგა — ოქრო ზესტაფონელ რატი ფერაძეს ერგო.

ორგანიზატორებმა ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისთვის დააწესეს უდროოდ დაღუპული შაშიანელი ფალავნის ვანო ზურაბაშვილის სახელობის პრიზი. ის ყველაზე მსუბუქ წონაში, 55 კილოგრამში გაჩემპიონებულ გურჯაანელ თენგიზ პაპოშვილს ერგო.

ქართულ ჭიდაობაში წლის ბოლომდე კიდევ ორი შეჯიბრია დაგეგმილი. სექტემბრის ბოლოს დედაქალაქი სოფლის სპორტსმენთა შორის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ნოემბერში კი სპორტის სასახლეში ტრადიციულად საქართველოს ფალავნობა გათამაშდება. შეგახსენებთ, რომ შარშან ფალავანი მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ლექსო დავითაშვილი გახდა და პრიზად ავტომობილი „ოპელიც" დაისაკუთრა.

**ოთარ ჩალაძე**

**55 კგ**

1 **თენგიზ პაპოშვილი** (გურჯაანი)

2 რობერტ ჩურჩხელაშვილი (ახმეტა)

3 მიხეილ მაჭარაძე (ქარელი)

**60 კგ**

1 **ბადრი ბასოშვილი** (გურჯაანი)

2 ვალერი პეტრიაშვილი (ახმეტა)

3 გიორგი პაპოშვილი (გურჯაანი)

**65 კგ**

1 **პაატა დათაშვილი** (გორი)

2 მამუკა მაზმიშვილი (ქარელი)

3 ლაშა ხარაბაძე (ქუთაისი)

**70 კგ**

1 **კახა მამულაშვილი** (კასპი)

2 ლექსო ვეფხვაძე (თელავი)

3 ზურაბ დოლონაძე (ქარელი)

**75 კგ**

1 **ავთანდილ შოშიაშვილი** (გორი)

2 იმედა საბაშვილი (გორი)

3 ზვიად გოგოჭური (ახმეტა)

**80 კგ**

1 **გიორგი ფიცხელაური** (ახალგორი)

2 ავთო ცუცქირიძე (ქუთაისი)

3 დავით ჭაბუკაშვილი (გორი)

**90 კგ**

1 **სოსო პავლიაშვილი** (გორი)

2 დათო სინაურიძე (ქუთაისი)

3 დავით ცინცაძე (ქუთაისი)

**მძიმე**

1 **რატი ფერაძე** (ზესტაფონი)

2 გელა ბეჭვაია (ქუთაისი)

3 თამაზ მუთოშვილი (ახმეტა)

## დორტმუნდის სუპერტურნირი

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

VI ტური

I ჯგუფი: პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5; სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) — არკადი ნაიდიჩი (გერმანია) 0:1

II ჯგუფი: პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5; ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) — სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 0,5:0,5

**ვიშვანათან ანანდს** ნახევარფინალის საგზური ბოლო ტურამდე განაღდებული ჰქონდა და პეტერ სვიდლერთან ფიქრით თავი აღარ შეუწუხებია. სვიდლერისთვის კი პლეი ოფში გასასვლელად ყაიმიც საკმარისი იყო, ამიტომაც რუსმა ინდუსთან თამაშისას დიდი აგრესია არ გამოიჩინა და მე-19 სვლაზე დაუზავდა. ამ შედეგით სვიდლერმა უახლოეს მდევარსა და თანამემამულე სერგეი რუბლიოვსკის დაწევის ყოველგვარი შანსი მოუსპო. მეტიც, სერგეი 18 წლის მასპინძელ არკადი ნაიდიჩთან დამარცხდა და საერთოდ ბოლო ადგილი შერჩა.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონატის მონაწილეებმა — პეტერ ლეკომ და ვლადიმირ კრამნიკმაც თავი ისევ შეინახეს და მე-20 სვლაზე ყაიმი ითამაშეს. ხუთიოდე სვლით მეტი მოანდომეს ზავის გამოცხადებას ვიორელ ბოლოგანმა და სერგეი კარიაკინმა. ამრიგად, II ჯგუფში არაფერი შეცვლილა და პლეი ოფში გასასვლელად სწრაფი პარტიები დაინიშნა. ტაი ბრეიკები კვლავ ჯგუფურად ჩატარდა და მეტოქეებმა 10 წუთიანი პარტიები გაითამაშეს. სწრაფ პარტიებში კი გამოცოცხლდა ვლადიმირ კრამნიკი. ერთ საათში მან ხამი პარტია მოიგო და ორიც ლეკოსთან ყაიმით დაასრულა, ერთი კი 14 წლის კარიაკინთან დათმო. თუმცა ამ პარტიამდე კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს მომავალ ეტაპზე თამაში გარანტირებული ჰქონდა და ალბათ ძალები მომავლისთვის დაზოგა.

# სად გვეჩქარება?

## კრამნიკი სწრაფებში აჩქარდა

მეორე ადგილი ლეკოს შეხვდა. უნგრელმა დიდოსტატმა ხუთი პარტია დაასრულა ყაიმით და მხოლოდ კარიაკინთან იმარჯვა, თანაც შავი ფიგურებით.

ნახევარფინალის პირველი თამაშები დღეს გაიმართება და ლეკო — ანანდს შეხვდება, კრამნიკი კი სვიდლერს. რაც შეეხებათ ჯგუფში ჩარჩენილებს, ისინი მეხუთე-მერვე ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

**ლაშა გეგეჭკორი**



სწრაფმა პარტიებმა კრამნიკი თვალებში გამოახედა

| I ჯგუფი | | II ჯგუფი | |
|---|---|---|---|
| ანანდი | 4 ქულა | კრამნიკი | 3 (4) |
| სვიდლერი | 3,5 | ლეკო | 3 (3,5) |
| ნაიდიჩი | 2,5 | კარიაკინი | 3 (2,5) |
| რუბლიოვსკი | 2,0 | ბოლოგანი | 3 (2) |

ფრჩხილებში მოცემულია ტაი ბრეიკის შედეგები

ჩოგბურთი



REUTERS

ტორონტოს კორტს კოკისპირულად აწვიმს

# ნალექიანი ჩოგბურთი

## სერენას მტლე ეამა

**მასტერსის სერია**
**ტორონტო. ჰარდი**
**საპრიზო 2,564 მილიონი $**

კორტზე გასვლა მეჩოგნეებმა იმ დღეს მხოლოდ განრიგით გათვალისწინებულ დროსთან შედარებით ცხრა საათით გვიან მოახერხეს, რაკილა მანამდე ტორონტოს გადაუღებელი და კათხისპირული წვიმა ასხამდა. მერე კი ნალექმა ნახევარსაათიანი ტაიმაუტი აიღო და ამით დაიმედებულმა მოთამაშეებმაც ჩოგნები იშიშვლეს. მათდა, ჩვენდა და საერთოდაც სულ ყველას სამწუხაროდ სიმშრალემ დიდხანს ვერ გასტანა და იმ დროს, როცა ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა მაროკოელ ჰიშამ არაზის ის-ის იყო, პირველი სეტი 6:3 მოუგვარა, ცის საქანელნი ისევ განიხვნენ და მოთამაშე-მაყურებლიანად ყველას შინისაკენ გადაახვევინეს. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ხვალსაჩოგბურთო მიმოხილვის ნაცვლად დღეს მხოლოდ ამ მცირედი საამინდბიურო ჩანახატით უნდა შემოვიფარგლოთ.

**ACURA CLASSIC**
**სან დიეგო. ჰარდი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეორე წრე**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — ელენა იანკოვიჩი (ხორვატია) 6:7 (3:7), 6:3, 6:2; ანასტასია მისკინა (3, რუსეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:3, 6:4; ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — კრისტინა ბრანდლი (კოსტა რიკა) 6:1, 6:1; მარია შარაპოვა (6, რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:3, 6:3; ვერა ზვონარიოვა (12, რუსეთი) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:0, 6:3; ემი ფრეზერი (აშშ) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2, 6:0**

გაჯიუტებული ხორვატი გოგოს, ელენა იანკოვიჩის გარდა ამქრის ხარაბუზა სერენა უილიამსმა იმ დღეს თავის დაბებერებული მარცხენა ფეხის დასამორჩილებლადაც იწვალა. სერენას ფეხს მტლე, ხოლო იანკოვიჩს სერენას ბარაქიანი გლაჯუნი მოუხდა და ხანგრძლივი ღლაბუცის შემდეგ ყველაფერი უმცროსი უილიამსდისთვის სახეიროდ გასრულდა.

სამაგიეროდ, ტურნირიდან ჩოგნის გაუნძრევლად აბარგება მოუხდა სერენას უფროს დაიკო ვინუსს, ვინაც არგენტინელი ხისელა დულკოს წინააღმდეგ კორტზე გასვლა საერთოდაც ვერ მოახერხა. მიზეზი? — გასულ კვირას ლოსანჯელესობის ფინალამდე ნატკენი მარჯვენა მაჯა, რამაც მას არც ლინდსი დევენპორტთან ხსენებული ფინალის დამთავრების საშუალება მისცა და არც სანდიეგობის დაწყებამდე დაუცხრა. კარგი ამბავი ის არის, რომ მაჯა ახლა უკეთ მაქვსო, იძახდა გუშინ ვინუსი, ხოლო ცუდ ამბად იმას ასახელებდა, რომ მაჯა მას არც იმდენად მოკეთებია, დულკოსთან ბუქნაობა რომ შესძლებოდა.

რადა ბევრი გავაგრძელოთ, რუსგოგოთა ზორბა რაზმეულისა და მათი — ანუ ვინუსისა და სერენას — წინაკვირანდელი შეურაცხმყოფლის, ლინდსი დევენპორტის წინააღმდეგ ბრძოლა სან დიეგოში ახლა მხოლოდ სერენას მოუწევს. ეს კი, მის ამჟამინდელ არათავდაჯერებულსა და იმავდროულად არასხვისდამაჯერებელ თამაშს თუ გავითვალისწინებთ, ჭეშმარიტად საძნელო რამ უნდა იყოს.

რაც შეეხება მაშა შარაპოვას, რომელიც არასასურველ სტუმრად არც აქამდე მიიჩნეოდა, ხოლო უიმბლდონზე გადედოფლების შემდეგ სულაც გამომაქლიავებლად სასურველ ვინმედ იქცა, ის ძალზედ იოლად გაუსწორდა ამერიკელ კვალიფიკანტ ლილია ოსტერლოს და ასევე წარმატებულ თვისტომებთან — მისკინა-დემენტიევა-ზვონარიოვასთან ერთად მესამე წრისკენ გაივაკა.

**ლევან ძელაურაძე**

ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

### II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სკონტო (ლატვია) 1:1 ტრაბზონსპორი (თურქეთი)
**1:0 კალნინშსი (68), 1:1 ილმაზი (86)**

აპოელი (კვიპროსი) 2:2 სპარტა (ჩეხეთი)
**1:0 ალექსანდრუ (6), 2:0 ხარალამბიდისი (48), 2:1 პაჩანდა (82), 2:2 შივოკი (88)**

ჟილინა (სლოვაკეთი) 0:1 დინამო (რუმინეთი)
**0:1 დანჩულესკუ (90)**

იანგ ბოისი (შვეიცარია) 2:2 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
**1:0 შაპუიზა (6), 2:0 ოგსტერი (65), 2:1, 2:2 ჟიგიჩი (78, 88)**

ჰაიდუკი (ხორვატია) 3:2 შელბურნი (ირლანდია)
**0:1 ფიცპატრიკი (4), 1:1 ბლატნიაკი (18), 2:1 შუტო (48), 3:1 ბლატნიაკი (85), 3:2 ა. მური (90)**

ბრიუგე (ბელგია) 2:0 ლოკომოტივი (ბულგარეთი)
**1:0, 2:0 ბალაბანი (71, 87)**

რუსენბორგი (ნორვეგია) 2:1 შერიფი (მოლდოვა)
**1:0 ფ. იონსენი (23), 1:1 კოჩიში (33), 2:1 ჯორჯი (84)**

იურგორდენი (შვედეთი) 0:0 კაუნასი (ლიტვა)

## ინტერტოტოს თასი 2004

### ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ოფკ (სერბეთი) 1:3 ატლეტიკო (ესპანეთი)
**0:1 იბაგასა (18), 0:2 ფ. ტორესი (413), 1:2 პ. შიმიჩი (54), 1:3 სიმეონე (66)**

ლილი (საფრანგეთი) 3:0 სლავენი (ხორვატია)
**1:0 კ. ლანდრინი (8), 2:0 ბრუნელი (29), 3:0 აჩიმოვიჩი (48)**

ესბიერგი (დანია) 1:3 შალკე (გერმანია)
**1:0 ლუჩენა (8), 1:1 აილტონი (40), 1:2 ჰანკე (71), 1:3 ჰამიტ ალტინტოპი (87)**

ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:0 ნანტი (საფრანგეთი)
**1:0 პოშპისილი (26)**

გენკი (ბელგია) 0:0 ლეირია (პორტუგალია)

ვილიარეალი (ესპანეთი) 1:0 ჰამბურგი (გერმანია)
**1:0 ანდერსონი (62)**



REUTERS

ოფკ — ატლეტიკო 1:3. მადრიდელთა სამი გოლიდან ერთი ფერნანდო ტორესმა პენალტით შეაგდო

## შვედეთი

სუპერეტა. XVI ტური

ფრიოლუნდა 0:3 ბრომაპოიკარნა
კაფე ოპერა 1:2 ენჩიოპინგი

## რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სპარტაკი 1:0 როსტოვი

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XII ტური

ვესტმანაეიარი 4:0 აკურეირი

## გერმანია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

ბაიერნი 3:0 ლევერკუზენი

## ამხანაგური მატჩები

გროცლინი 1:2 ტრევიზო
შტურმი 0:2 არსენალი
ლიონი 1:1 ანდერლეხტი
რეინჯერსი 2:0 ტოტენჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღმერთები და რაკეტები

საბერძნეთი საჰაერო ძალთა მავანი ოფიცერი განთქმულ სარეკეტო დანადგარ „პეტრიოტს" ამოწმებს. ამ დღეებში ათენის ირგვლივ ათობით ასეთი დანადგარი იდგმება — ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად მასპინძლები ათენის უსაფრთხოებას უმწვერვალესად აძლიერებენ და ქალაქს, რომელსაც ადრე ღმერთები იცავდნენ, ოლიმპიადის შესაძლო წამმურღვლელთაგან ახლა ნატოური რაკეტები დაიცავენ. ეს კი პართენონის ტაძარია, რომელმაც ეს-ესაა მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები გადაიტანა და ისევ მზად არის, მნახველები წარსულის დამატყვევებელ ბლონდებში გაჰხვიოს.





REUTERS ათონიდან

# ლებრონის ზურგი



REUTERS ჯექსონვილიდან

ამერიკელი კალათბურთელები ათენის ოლიმპიადისთვის ჯექსონვილში, ჩრდილოფლორიდის უნივერსიტეტში ემზადებიან. იქვე შედგება მათი პირველი ამხანაგური მატჩიც – მათ შეთანხმებულსა და შემრავალხმოვანებულ გარჯას 31 ივლისს პუერტო რიკოს ნაკრები გამოსცდის. ეს ფართე და სვირინგიანი მხარბეჭი კი კლივლენდელ მოდრიმტიმეს, ლებრონ ჯეიმსს ეკუთვნის. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ ის ჩვენს იქაურ კოლეგებს ებასება

# ხარაზობას ვინ რჯის?!

ეს სქელუა კაცი, რომელიც კი იბღვირება, მაგრამ იმდენად კეთილი ვინმე ჩანს, რომ უფრო სასაცილო გამოდის, ვიდრე საშიში, სუმოს დიდჩემპიონყოფილი აკებონოა. ალბათ თქვენც გახსოვთ, ჰავაური წარმომავლობის ამ გოლიათმა სუმოდან კეი-1-თად წოდებულ მავან ჩხუბში რომ გადაინაცვლა და თავის ულევ ილაჯს ახლა იქა სცდის. ჰოდა, შვიდ აგვისტოს ლას ვეგასში აკებონო ვინმე რიკ რუფუსს უნდა შეებას და ახლა სწორედ სამაგისოდაა, ასე რომ იჯგიმება და ერთ ამბავშია



REUTERS ლას ვეგასიდან



REUTERS ლუისვილიდან

# ტაისონი ლუისვილში

30 ივლისს კენტაკურ ლუისვილში შედგება მაიკ ტაისონისა და ლონდონელი დენი უილიამსის შეხლა. ტაისონსაც ლუისვილური მაისურა მოურგია და ფოტოობიექტივებს დანახვებია, აქაოდა მაგარი შთამბეჭდავი ვარო. რა ვიცი, არის რო?!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge